ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
სტიქიური მოვლენები
10 ლარი




ოთხშაბათი, 6 ნოემბერი, 2013 №263 (6264) ფასი: 30 თეთრი

# თეა წულუკიანი: „არ ვიცი, როგორ უნდა დავაბრუნოთ წართმეული ქონება“



გვ.4



## დოდო აფრასიძე: „სააკაშვილმა და ბარამიძემ იცოდნენ, რომ სამართალი პურსაც შეჭამს და კუზდარსაც“

გვ.3



## ნარკოტიკის საქართველოში შემოსატანად ჩვილი ბავშვი გამოიყენეს გვ.5



გვ.5

## გიორგი კობახიძე: „ვალამდელი არჩევნები გარდაუვალია“



გვ.3

## სააკაშვილმა ძებნილი შეიწყალა და ვახტანგ გორგასლის ორდენით დააჯილდოვა



გვ.5

## სერგო ჯავახიძეს პარტიის აქტივისტები კუთვნილი ხელფასის გადაუხდელობაში ადანაშაულებენ

## დავით ნარმანიას მთავრობაში დარჩენის იმედი აქვს

გვ.4



## ვის ახსოვს პერევი?



გვ.6

## სოზარ სუბარი: „ახალ მინისტრთა კაბინეტში სერიოზული ცვლილებები არ იგეგმება“

გვ.5



ISSN 1987-9385

2 საქართველოში შემომსვლელთა რაოდენობა ოქტომბერში, 2012 წელთან შედარებით, 14,1%-ით გაიზარდა

4 მაია ფანჯიკიძე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

5 პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესს ამარტივებს

6 გია ბურჯანაძე: „ნაციონალებს პოლიტიკაში მოღვაწეობა 10 წლით უნდა აეკრძალოთ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რა ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსში

**გულიკო ბალაძე**

2006 წელს, იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ხელდასმით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად შემოიღო „ცრუ დასმენა“, როგორც დანაშაული.

ეს არის 373-ე მუხლი, სადაც საუბარია „ცრუ დასმენისთვის“ გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე.

ამ მუხლს გამოძიება იყენებდა და, როგორც ადვოკატები აცხადებენ, იყენებს დღესაც მოწმის დაკითხვის წინ „ცრუ ჩვენებისთვის“ გაფრთხილების მიზნით იმდენად, რამდენადაც აღნიშნული მუხლი დღემდე არავის გაუუქმებია და პრაქტიკაც ასეთი იყო.

ამ მუხლით ხდებოდა პიარისთვის სასჯელის დამძიმება.

არადა, „ცრუ ჩვენებაზე“ გაფრთხილებას სხვა მუხლი განსაზღვრავს და არა „ცრუ დასმენის“ მუხლი, რომელიც გაფრთხილებას არ ითვალისწინებს. პასუხისმგებლობა მას შემდეგ უნდა დადგეს, რაც დადგინდება ცრუ დასმენის ფაქტი. თუმცა, წინა ხელისუფლების დროს კი პირიქით ხდებოდა.

სსს კოდექსის 115-ე მუხლმა დათქვა პირის დაკითხვის ზოგადი წესი, ანუ დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას, სასამართლო, ფიცის დადების შემდეგ, მოწმეს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, რა საქმეზეა გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, ცრუ ჩვენებისა და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს თავისი, ან ახლო ნათესავის დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ჩვენება.

იურისტები განმარტავენ, რომ მოწმის დაკითხვის წინ, ცრუ ჩვენების მიცემაზე გაფრთხილებასთან ერთად, პირი „ცრუ დასმენაზე“ აღარ უნდა გაფრთხილდეს, რადგან ამას არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სსს კოდექსის 48-ე მუხლის („მოწმის მიერ ფიცის დადება“) მეორე ნაწილით დაითქვა, რომ დადების წინ სასამართლომ მოწმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე-371 პრიმა მუხლებით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ ამ პროცესში პირის 373-ე მუხლით (ცრუ დასმენა) გაფრთხილება და მისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არ ხდება.

წინა ხელისუფლებას ადამიანების მართვის ათასგვარი მეთოდი ჰქონდა მოგონებული და ე.წ. სამართალდამცავ სისტემაში მოხვედრილი პირი ათასგვარი მეთოდებით მუშავდებოდა და ათასგვარი მუხლებით დახუნძლული მიდიოდა სასამართლოში. შესაბამისად, შეკრებითობის პრინციპის გამოყენებით უდიდეს სასჯელებსაც იღებდა.

ამ სისტემაში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მათთან მოხვედრილი პირი ყველანაირად დაჭერილი ჰყოლოდათ სხვადასხვა მარყუჟებით.

ერთი ასეთი მარყუჟი ადეიშვილმა შემოიტანა 273-ე მუხლის სახით, რომელსაც გამომძიებლები კანონის დარღვევით იყენებდნენ.

ესეც რომ არა, საქართველოს ძირითადი კანონის, კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით, ან სხვაგვარი საშუალებით.

ამიტომ, იურისტები აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლი „ცრუ დასმენა“, ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გათვალისწინებულ და დაცულ უფლებას, ადამიანმა თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, შეხედულება და არ ეშინოდეს, რომ მისი აზრი, შეხედულება და ნებისმიერი ფორმით გამოხატული მოსაზრება, ცრუ დასმენად იქნას შერაცხული. ამიტომ სს კოდექსის 373-ე მუხლი „ცრუ დასმენა“ ანტიკონსტიტუციურია და წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დათქმულ ნორმასთან.

ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მართალია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილით კანონმდებელმა დაუშვა საპროცესო ნორმის ანალოგია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

პასუხისმგებლობისთვის მოწმის გაფრთხილება ხდება დამოუკიდებელი ხელწერილით, საპროცესო ნორმის ანალოგიის პრინციპით, რასაც დაუშვებლად მიიჩნევენ, რადგან სსკ 373-ე მუხლი „ცრუ დასმენა“ დამთავრებული დანაშაულია და ამ დანაშაულის გაიგივება „ცრუ ჩვენების“ დანაშაულის შემადგენლობასთან არ შეიძლება.

დღეისათვის „ცრუ დასმენის“ მუხლით არაერთი ადამიანია გასამართლებული. ზოგიერთის მიმართ წარსულში შედგენილი საქმე სასამართლოში ახლაც გრძელდება. ამ მუხლით ასამართლებდნენ პირებს, რომლებიც გამოძიებისთვის სასურველ ჩვენებას არ მიცემდა.

მაგალითისთვის მარნეულის რაიონული სამმართველოს ერთი უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის რომან ბოლქვაძის მიერ გაფორმებული ხელწერილებიც კმარა. „ცრუ დასმენის“ მუხლით პასუხისგებაში მიეცნენ (გაფრთხილება ყველა მათგანის მიმართ ხელწერილით მოხდა, რასაც კანონი არ ითვალისწინებს) ელმარ კალაევი, სამირ ანტესოვი, აკიფ აშაროვი, ლეილა ნარიმანიძე, გაიანე ხითარიშვილი.

ვინ მოიფიქრა პირველად ამ მუხლით გაფრთხილება და ცრუ ჩვენების დაუმტკიცებლად პირის პასუხისგებაში მიცემა, ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ამ საკითხში რომ ყველაფერი წესრიგში არ არის, ცხადია. ამიტომ ეს საკითხი პარლამენტის ყურადღებას მოითხოვს.




იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე ამბობს, რომ „ცრუ დასმენისთვის“ ხელწერილით გაფრთხილება სწორი არ არის.

— 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გამომძიებელმა მოწმე უნდა გააფრთხილოს სსს კოდექსის 370-ე მუხლით. ეს არის პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენებაზე, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმაზე და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე. სხვა მუხლით ცრუ დასმენაზე აღარ შეიძლება გააფრთხილოს პირი ამა თუ იმ გამომძიებელმა. გარდა ჩამოთვლილი სამი მუხლისა, გამომძიებელს უფლება არ აქვს, გააფრთხილოს პირი. თუ გარდა ამ სამი მუხლისა, სხვა მუხლით გააფრთხილებს, გამომძიებლის მოქმედება არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც ჰქვია სამოხელეო დანაშაული „უფლებამოსილების გადამეტება“. გამომძიებლები პირს აფრთხილებდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაზე „ცრუ დასმენისთვის“ ხელწერილით. ვინ უთხრა, ვინ უკარნახა, რომელ მოქმედ სისხლის სამართლის პროცესშია, როცა იბარებენ მოწმის სახით და აფრთხილებენ „ცრუ დასმენისვის“? ეს არის უფლებამოსილების გადამეტება.

***— ამას აკეთებდნენ იმისათვის, რომ ბრალი დაემძიმებინათ?***

— რა თქმა უნდა, ამას აკეთებდნენ იმისათვის, რომ ბრალი დაემძიმებინათ, უდანაშაულო ადამიანი პასუხისგებაში მიეცათ. ამას კვლავ აგრძელებენ.

***— კიდევ აგრძელებენ?***

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აგრძელებენ. მოქმედი კანონით გამომძიებელს უფლება არ აქვს, ცრუ დასმენაზე გააფრთხილოს. თუ გამომძიებელი შეცდა, გამოძიებასა და ოპერატიული სამძებრო ღონისძიების განხორციელებაზე ზედამხედველობას ახორციელებს მოქმედი პროკურორი. ამიტომ არა მარტო გამომძიებელს მიუძღვის ბრალი, არამედ — პროკურორსაც, რადგან ის არის გამომძიებლის ზედამხედველი.

# ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ბიუჯეტს „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმება 15 მლნ ლარზე მეტი უჯდება“

პარტია „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ წარმომადეგნლის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, საბიუჯეტო სახსრების არარსებობის მიზეზებით, მთავრობამ ასეულობით პროექტის განხორციელება შეაჩერა და აღნიშნულ პროექტებზე დასაქმებულები უმუშევარი დატოვა.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა ორგანიზაცია „ახალი თაობა — დემოკრატიული არჩევანი“-ს მიერ პროექტის „გენდერული ბალანსი საჯარო სამსახურში“ ჩატარებული კვლევის შედეგებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტების გამგეობებში, განსაკუთრებით კი, მუნიციპალურ შპსებსა და სიპ-ებში საშტატო ერთეულებს ამატებენ და „ქართული ოცნების“ აქტივისტების ასაქმებენ.

„კვლევაში მკაფიოდ ჩანს საშტატო ერთეულების ხელოვნურად ზრდის ტენდენცია და დიდი ალბათობით, იგივე ხდება იმ მუნიციპალიტეტებშიც, რომლებმაც არ გაასაჯაროვეს მსგავსი ინფორმაცია. კვლევის ანალიზით დგინდება, რომ საერთო ჯამში, წლიურად სახელმწიფო ბიუჯეტს „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმება 15 მლნ ლარზე მეტი უჯდება“ — განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მისი თქმით, კვლევის ფარგლებში კითხვარს 18 მუნიციპალიტეტის გამგეობამ უპასუხა. 18-დან საშტატო ერთეულები გაიზარდა 15-ში, ერთში არ შეცვლილა, 2-ში კი — შემცირდა. საერთო ჯამში, 18 მუნიციპალიტეტში 766 საშტატო ერთეულის დამატება დაფიქსირდა.

**ნიუსპრესი**

# შსს-მ ნარკოდანაშაულისათვის თურქეთის მოქალაქეები დააკავა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე — 1977 წელს დაბადებული იუსუფ ბ. და 1991 წელს დაბადებული მურათ ქ., ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი და „სუბოქსინი“-ს აბის 2 ნატეხი ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით სულ 5,9 გრ ჰეროინი და 0,0066 გრ ბუპრენორფინია ამოღებული. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას მურათ ქ. ნარკოტიკული საშუალება ოპიუმის და მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# პოლიციამ მანქანის ქურდობისთვის ძებნილი ბანგლადეშის მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, 1975 წელს დაბადებული, თბილისში დროებით მცხოვრები ბანგლადეშის მოქალაქე ჯამალ ჰ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2012 წლის 9 აპრილიდან სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის — ავტომანქანის ქურდობისთვის იძებნებოდა.

ამჟამად დაკავებული სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაშია შესახლებული. გამოძიება ქურდობის ფაქტზე სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც 4-დან 6 წლამდე თავისუფლების

**ნიუსპრესი**

# საქართველოში შემომსვლელთა რაოდენობა ოქტომბერში, 2012 წელთან შედარებით, 14,1%-ით გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვე 480 510 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 14,1%-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში ამ პერიოდში უკვე 4 556 110 ვიზიტი განხორციელდა, რაც 23,7%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე და უკვე გაასწრო 2012 სრული კალენდარული წლის მონაცემებს.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართების თანახმად, მთლიანი მაჩვენებლის 39,2% ანუ 1 785 244 ვიზიტორი საქართველოში ტურისტული ვიზიტით შემოვიდა. ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17,4%-ით აღემატება. ტრანზიტით შემოსულ პირთა რიცხვმა 1 001 010 შეადგინა, მატება კი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, 57,3%-ია.

სხვა მიზნით საქართველოს საანალიზო პერიოდში 1 769 856 ვიზიტორი ესტუმრა. ეს მაჩვენებელი 2012 წლის მაჩვენებელს 15,8%-ით ჩამორჩება. 2013 წლის ოქტომბერში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+10%), აზერბაიჯანიდან (+13,5%), სომხეთიდან (+34,3%), რუსეთიდან (+37%), უკრაინიდან (+58,6%) და ირანიდან (+26,7%) განხორციელდა.

სამინისტროს ინფორმაცითვე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ასევე, ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ოქტომბერში, უკვე ტრადიციულ პოლონეთი-ჩეხეთი-ავსტრიასთან ერთად, კვლავ გამოირჩნენ საფრანგეთი, იტალია და გერმანია (შესაბამისად 70%, 34%, 27%, 20%, 17% და 17%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთის (39%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი (31%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი — ბელორუსიის მოქალაქეები 61%-იანი მატებით.

„სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან მიმართებაში, ცალკე აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც მიმდინარე წლის პირველ 10 თვეში 22.4 (შემოსვლა) და 22.8 (გასვლა) პროცენტიან მატებაში გამოისახა“ — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაში

**ნიუსპრესი**

# დავით უსუფაშვილი ლატვიის პრეზიდენტს შეხვდა

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ლატვიის პრეზიდენტს ანდრის ბერზინშს შეხვდა. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის მთავარი თემები, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, ვილნიუსისა და რიგის სამიტები იყო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნები გააგრძელებენ მეგობრობას და თანამშრომლობას ყველა ასპექტში — ნატო-სთან და ევროკავშირთან მიმართებაში, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით ეკონომიკაში, ვაჭრობაში, განათლებასა და სოფლის მეურნეობაში.

„შეხვედრაზე ვისაუბრეთ რიგის სამიტზეც. 2015 წლიდან ლატვია ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა ხდება და ვილნიუსში დაწყებული საქმე ამ პერიოდში უნდა დასრულდეს“ — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისი შეფასებით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ლატვიაში მეგობრული და წარმატებული იყო. ახლო მომავალში, რიგას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ესტუმრება და ამ სფეროში ლატვიის გამოცდილებას გაიზიარებს.

ლატვიის პრეზიდენტთან შეხვედრას საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებიც ესწრებოდნენ, რომელთა შორის არიან — საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ

დოლიძე, ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე და ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრი დავიტ დარჩიაშვილი.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დოდო აფრასიძე: „სააკაშვილმა და ბარამიძემ იცოდნენ, რომ სამართალი პურსაც შეჭამს და კუბდარსაც“

შორენა მარსაგიშვილი

**2004 წლის 24 მარტს სვანეთში აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარდა სამხედრო ოპერაცია. ოპერაციის მიზანი, რომელშიც 12 ვერტმფრენი და 1000-ზე მეტი სპეცრაზმელი მონაწილეობდა, დღემდე ზუსტად არ არის ცნობილი. ნაციონალურ ხელისუფლებას აფრასიძეების დაკავება რომ სდომებოდა, ამას სპეცოპერაციის გარეშეც მარტივად მოახერხებდა. ომეხ აფრასიძე, რომლის დაკავების საბაბითაც ეს საშინელება დაატრიალეს, ლამის ყოველდღე დადიოდა მესტიაში. ამასთან, ის თავად აპირებდა, ჩაჰბარებოდა სამართალდამცავებს. ეს მარტის ბოლოს უნდა მომხდარიყო და ხელისუფლებამაც იცოდა, მაგრამ ვიღაცას რაღაცაში არ აწყობდა და 24 მარტს სვანეთში ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს, რომელიც დღემდე იწვევს საზოგადოების აღშფოთებას.**





ახალი ხელისუფლების გეგმებში ამ სისხლიანი საქმის გამოძიებაც შედიოდა. რა ეტაპზეა გამოძიება, ვისი და რისი უნდა ეშინოდეს გია ბარამიძეს, რა ჩვენება მისცა სააკაშვილმა თავის წინააღმდეგ, ამ თემებზე დოდო აფრასიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**დოდო აფრასიძე;**

– ჩემმა შვილებმა რამდენიმე თვის წინ დატოვეს ციხე. ციხეში ისინი საშინლად დასნეულდნენ. ახლაც ვერ არიან კარგად. მათ მკურნალობას დიდი თანხები სჭირდება, რაც ჩვენ არ გვაქვს. ძალიან მიჭირს, ჩემს შვილებს ასეთ დღეში რომ ვხედავ, მაგრამ მაინც იმედიანად ვარ. მთავარია, ახლა ისინი თავისუფლები არიან. ეს ბევრ რამეს ნიშნავს. იმის იმედიც მაქვს, რომ მალე სამართალიც აღდგება. კიდევ კარგი, ხელისუფლება შეიცვალა, თორემ ჩემი შვილები ვადის ამოწურვის შემდეგაც ვერ გამოვიდოდნენ საპატიმროდან.

***– რატომ ვერ გამოვიდოდნენ, მათ ხომ უვადო პატიმრობა არ ჰქონიათ მისჯილი?***

– სააკაშვილმა დაიტრაბახა, სანამ მე ვარ, ეგენი ციხიდან ვერ გამოვლენო. ეგ დიდი ხნით აპირებდა ხელისუფლებაში ყოფნას. აპირებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ვერც ჩემი შვილების სამუდამო პატიმრობას მოესწრო. ეგ ჯერ ისევ პრეზიდენტი იყო, ჩემი შმაგი და გოჩა რომ გარეთ გამოვიდნენ. მათ ისედაც 9 წელი ტყუილად გაატარებინეს ციხეში. საშინელი სიკვდილი არგუნეს მათ ძმასა და მამას. უშუალოდ სააკაშვილმა გასცა ჩვენი ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება, რისი დოკუმენტიც არსებობს.

***– რა დოკუმენტზე საუბრობთ, ქალბატონო დოდო?***

– ყველას ახსოვს მისი ცნობილი განცხადება, რომელიც ამ ადამიანმა ერთ-ერთი სასტუმროს გახსნაზე გააკეთა რამდენიმე წლის წინ. მან ასეთი რამე თქვა: „მინდა დავადასტურო, რომ მე გავეცი მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურების ბრძანება და ამას ერთი წამითაც არ ვნანობ. ეს იყო ბანდა აფრასიძეების, რომელიც აკონტროლებდა მთელ სვანეთს. გამაგრებული იყვნენ ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მაღალ კოშკში და, ჩემი ბრძანებით, ჩვენი ვერტმფრენებიდან გახსნილ იქნა ცეცხლი, მათ შორის რაკეტებით. ეს კოშკები განადგურდა, მათ შორის ბანდიტებიც განადგურდნენ და ეს იყო სწორი გადაწყვეტილება!“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ამოწყვეტის ბრძანება მან გასცა, რაც დიდი სიამოვნებით შეასრულა გია ბარამიძემ, რომელიც სააკაშვილთან ერთად აუცილებლად აგებს ამაზე პასუხს. იცოდეს ორივემ, რომ სამართალი პურსაც შეჭამს და კუბდარსაც. სააკაშვილმა თავის წინააღმდეგ უკვე მისცა ჩვენება.

***– ბარამიძეს თუ აქვს მიცემული ჩვენება ამ საქმეზე?***

– ახალი ხელისუფლების პირობებში, მგონი, არ მიუცია ჩვენება, მაგრამ გაიმართება სასამართლო და მოუწევს.

***– ამბობენ, რომ თქვენმა შვილებმა მას შეუთვალეს, გირჩევნია, შენი ფეხით ჩაჯდე ციხეში, სანამ ჩვენ გნახავდეთო.***

– არავისთვის არაფერი არ შეგვითვლია. ბარამიძემ ყველაზე უკეთ თავად იცის, რომ ამ დანაშაულისთვის ციხეში ჩაჯდება. თქვენი გაზეთის საშუალებით ახლა მე შევუთვლი ბარამიძეს რაღაცას, ვეუბნები, ჩვენი მხრიდან შურისძიების ნუ შეეშინდება. ის არ ღირს იმად, რომ მისი გულისთვის ვინმე ციხეში წავიდეს. ჩვენი ნუ ეშინია, ღმერთის ეშინოდეს!

***– იმასაც ამბობდნენ, რომ ის თითქოს დაემუქრა თქვენ შვილებს.***

– ეს მაშინ მოხდა, როცა გოჩა და შმაგი ჯერ კიდევ ციხეში ისხდნენ. ახლა ისინი თავისუფლები არიან და მაინტერესებს, ახლაც თუ გაბედავს მუქარას. მაინტერესებს ისიც, რას იტყვის სასამართლოზე, როგორ ახსნის იმ ფაქტს, ჩემი მეუღლე ცოცხლად დააწვევინა. წინ მიცვალებული ედო და კუბდარი მოითხოვა.

***– ბარამიძემ რამდენჯერმე თქვა, კუბდარს იმ ტრაგედიის დროს როგორ მოვითხოვდიო.***

– ეს სასამართლო პროცესზე დაამტკიცოს. ეს იმ ხალხს დაუმტკიცოს, ვისაც კუბდარი მოსთხოვა. ეს ადამიანები ამას სასამართლოზე იტყვიან. მოწმეები იმასაც იტყვიან, რომ ჩემი მეუღლე ცოცხლად დააწვევინა. არავის არ მისცა იმის უფლება, რომ დაჭრილი კაცი ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოეყვანათ. ჩემი მეუღლე, ევგენი, ჩვენი ამოწყვეტის ოპერაციის დაწყებისთანავე დაიჭრა. როცა ჰაერიდან გაგვიხსნეს ცეცხლი, ის სახლიდან ხელებაწეული გამოვიდა. ამით ანიშნა, გბარდებითო. იმათ კიდევ ესროლეს და იღლიაში დაჭრეს. ამ მომენტისთვის ოჯახში 4 მცირეწლოვანი ბავშვი გვყავდა. ჩემმა შვილმა, გოჩამ, გადაწყვიტა, ბავშვები მეზობელთან გადაეყვანა. ტყვიების წვიმა მოდიოდა და ეგება ბავშვები მაინც გადავარჩინოთო. გოჩა მეზობლიდან რომ დაბრუნდა, ძირს დაგდებული დაჭრილი ევგენი ნახა. ომეხს დაუძახა და ერთად შეიყვანეს დაჭრილი სახლში. ტახტზე დააწვინეს. მე, ჩემი რძალი და შვილიშვილები მეორე სახლში ვიყავით. ტყვიების წვიმას ლოგინის ქვეშ ვემალებოდით. ჩემი შვილები უიარაღოდ და ხელებაწეულები გავიდნენ გარეთ. ისინი დააპატიმრეს. ბორკილებდადებული ომეხი დახვრიტეს. ამას მოწმეები დაადასტურებენ. ახსნას ბარამიძემ, რატომ დახვრიტეს ის ადამიანი, რომლის დასაკავებლადაც ეს ოპერაცია ჩატარდა, ან ის იარაღი მაჩვენონ, რომლითაც მათ ჩემმა ქმარ-შვილმა ცეცხლი გაუხსნა.

***– თქვენ ადრეც თქვით, რომ ომეხი დააკავეს და შემდეგ დახვრიტეს. ეს ექსპერტიზითაც დადგენილია?***

– ექსპერტიზა არ ჩაგვიტარებია. ხელისუფლებამ დაგვიბარა, ექსპერტიზის ჩატარება არ გაბედოთო. ექსპერტიზას ვინ ჩივის, ბარამიძე იმის უფლებასაც კი არ აძლევდა მეზობლებს ომეხის ცხედარი რომ გაეპატიოსნებინათ.

***– რატომ?***

– არ ვიცი. ამ კითხვას სასამართლოზე უპასუხოს. სასამართლოზე უპასუხოს იმასაც, რატომ არ მისცა ხალხს ევგენის გადარჩენის უფლება, რომელიც ცოცხლად დაიწვა.

***– ბარამიძემ იცოდა, რომ იმ ცეცხლმოკიდებულ სახლში თქვენი მეუღლე იყო?***

– იცოდა. ჩვენს მეზობლებს უთქვამთ ომეხზე, მიცვალებული სახლში შეგვაყვანინეთ, რომ გავაპატიოსნოთო, მაგრამ იმას უპასუხია, ჯერ ევგენის ერთი ძვლის ნატეხი გამომიტანეთ, რომ მართლა მკვდარია და მერე გაგატანთო. იმ ცეცხლზე ბარამიძე ხელებს ითბობდა, რომლითაც ჩემი ქმარი დაიწვა. მოკლული ომეხი იქ იწვა და ამან კუბდარი მოითხოვა! კუბდარს ვინ მიუტანდა. მერე ვიღაცები გააგზავნა და მესტიიდან მოატანინა საჭმელი. მიცვალებულები იქ ესვენა და ამან საჭმელი მაინც შეჭამა. ეს საშინელება სვანეთსა და მთელ საქართველოს კიდევ დიდხანს ემახსოვრება. ამ ოპერაციიდან ერთი კვირის თავზე მთელს მესტიაში დენთის სუნი იდგა. ეს სუნი დღემდე მაწუხებს.

***– რატომღაც ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სააკაშვილმა რაღაც მიზეზის გამო გაგიმეტათ ასე. რამე დაპირისპირება ხომ არ იყო თქვენს ოჯახსა და სააკაშვილს შორის? ან რაიმე ხომ არ იცოდა ომეხ აფრასიძემ?***

– რა შეეხება გვქონდა ჩვენ სააკაშვილთან, ან რაზე უნდა დავპირისპირებოდით. ომეხმა ბევრი რამე იცოდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისი მოკვლა. ყველამ იცის, რომ ომეხი ცოცხლად დაიჭირეს და მერე დახვრიტეს. ისიც ცნობილია, რომ ომეხი აპირებდა, სამართალდამცავებს ჩაბარებოდა. ვიღაცისთვის მისი ცოცხლად დატოვება სახიფათო იყო.

***– ვინ შეიძლება, ეს ვიღაცა ყოფილიყო?***

– არ ვიცი. იმედია, ესეც სასამართლოზე გაირკვევა.

***– ახლა რაც შეეხება ოპერაციას, დღემდე ამოუხსნელია, რაში დასჭირდა ხელისუფლებას ასეთი მასშტაბური ოპერაციის ჩატარება ერთი ოჯახის წინააღმდეგ. შესაძლოა, ომეხის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ამის გაკეთება სხვანაირადაც ხომ შეიძლებოდა?***

– მან, უბრალოდ, გადაწყვიტა ჩვენი ოჯახის განადგურება. ამ ოპერაციით მან ჩემი ოჯახის განადგურებაც სცადა და ხალხიც დააშინა. მაშინ ნაციონალები ხელისუფლებაში ახალმოსულები იყვნენ და უნდოდათ, ხალხი დაეშინებინათ. ამ სპეცოპერაციამ ხალხი მართლა დააშინა. სხვა ახსნას ვერ ვუძებნი ამ საშინელებას. რა დანაშაულიც სვანეთში ხდებოდა, ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალეს.

***– აფრასიძეებს აბრალებდნენ ლევან კალაძისა და თამუნა გოგინაშვილის გატაცებასაც.***

– ამის გარდა, კიდევ ბევრ რამეს გვაბრალებდნენ. რაც შეეხება კალაძისა და გოგინაშვილის გატაცებას, ამ საქმის უკან თვითონ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები იმალებიან. მათ მშვენივრად იცოდნენ, ვინ გაიტაცა ეს ადამიანები და იმიტომ მოკლეს ჩემი შვილი, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, ცოცხლად აიყვანეს მძევლად, ხელ-ფეხი შეუკრეს და მერე დახვრიტეს.

***– გამოდის, რომ ომეხმაც იცოდა გამტაცებლების ვინაობა.***

– ომეხმა ბევრი რამე იცოდა და ვიღაცას შეეშინდა, სიმართლე არ ეთქვა. ყველაფერი გააკეთეს, რომ მათი გატაცება ჩვენთვის დაებრალებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. იმ საშინელი ოპერაციის დღეს დაიჭირეს ვოვა მურავიოვიც, რომელიც ჩვენს ოჯახს იყო მოკედლებული. აფხაზეთიდან გადმოჰყვა ჩვენს ნათესავებს და აქ დარჩა, საოჯახო საქმეებში მეხმარებოდა.

***– ეს ის მურავიოვია, ბარამიძემ რომ თქვა, რუსეთიდან სპეციალურად ჰყავდათ მეტყვიამფრქვევედ ჩამოყვანილიო.***

– ჰო, ამ უბედურზე ამბობდა, მეტყვიამფრქვევე იყოო. ამ საწყალ კაცს ათქმევინეს, თითქოს მან ნახა ჩვენს ოჯახში გატაცებული კალაძე და გოგინაშვილი.

***– სად არის ახლა მურავიოვი?***

– არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ მას 9 წელი მიუსაჯეს. ის სასტიკად აწამეს, ჩვენ წინააღმდეგ ჩვენება რომ მიეცა. ახლა ყველაფერი გარკვეულია. მალე სასამართლო გაიმართება და კიდევ ბევრი რამე გაირკვევა. ამ სასამართლოზე, იმედია, კალაძეებსაც შევხვდებით. ძალიან მინდა კახა კალაძესთან დალაპარაკება.

***– თქვენ შორის არანაირი კომუნიკაცია არ შემდგარა?***

– არა. კახა კალაძის მამიდამ კი თქვა ერთ ინტერვიუში, აფრასიძეები არაფერ შუაში იყვნენ და ის ოჯახი ტყუილად ამოწყვიტესო. ძალიან მიკვირს, კახი კალაძე ერთხელ რომ არ გამოგვეხმაურა. ველოდი, რომ ამ ნაბიჯს თვითონ გადმოდგამდა. მისი ძმის ამბავს მოჰყვა ჩვენი უბედურება, განადგურება და მან კარგად იცის, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვიყავით. არ ვიცი, რა გული უძლებს. იმედია, მასთან შეხვედრას მოვახერხებ.

***– იმ ტრაგედიის შემდეგ თქვენმა ოჯახმა სვანეთი დატოვა. ახლა სად ცხოვრობთ და თუ აპირებთ ეცერში დაბრუნებას?***

– სად დავბრუნდე? 2 სახლი გვქონდა და ორივე დაგვიწვეს. ევგენისა და ომეხის წლისთავი რომ გადავიხადე, 4 შვილიშვილთან ერთად წალკაში ჩამოვედი. ერთი პერიოდი ნათესავთან ვცხოვრობდით. ახლა ერთი ბერძნის სახლში ვართ შესახლებული. 9 სული ვცხოვრობთ ერთ პატარა სახლში. იმის ფართიც კი არ არის, ერთად ვჭამოთ საჭმელი. იმედი მაქვს, მალე დავამტკიცებთ ჩვენს სიმართლეს. სააკაშვილსა და ბარამიძეს ყველაფერზე მოუწევთ პასუხისგება.

***– ახლა რითი არსებობს თქვენი ოჯახი?***

– ღვთისა და კეთილი ადამიანების იმედად ვართ. ხელისუფლებას ვთხოვ, ცოტათი დაგვეხმარონ, რომ რამენაირად ფეხზე დადგომა შევძლოთ. ასევე ვთხოვ, შვილების მკურნალობაში დამეხმარონ. გოჩაც და შმაგიც საშინლად დაავადდნენ ციხეში.

***– ცოტა ხნის წინ თქვენი ინტერვიუები წავიკითხე. მომეჩვენა, თითქოს იმედი გქონდათ დაკარგული, რომ სამართლიანობა აღდგებოდა.***

– მეგონა, უფრო სწრაფად მოხდებოდა ყველაფერი, მაგრამ იმდენი საშინელება აქვთ ჩადენილი, ძნელია ამ საქმეების გამოძიება. ჩვენს საქმეზე სააკაშვილს უკვე მიცემული აქვს თავის წინააღმდეგ ჩვენება. ჩვენს საქმეში ბევრი არაფერია გამოსაძიებელი. ამ სისხლიან საქმეზე ასეულობით ადამიანი მისცემს ჩვენებას. მჯერა, სამართალი აუცილებლად აღდგება. ახალმა ხელისუფლებამ ერთხელ უკვე აღადგინა სამართალი, როცა ჩემი შვილები ციხიდან გამოუშვა. ახლა ნამდვილი დამნაშავეების დაჭერის ჯერია. რამდენ რამეზე აქვთ პასუხი გასაცემი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 26 მაისი და 7 ნოემბერი ეყოფათ. სამართალი, ადრე თუ გვიან, მაინც აღდგება.

# სააკაშვილმა ძებნილი შეიწყალა და ვახტანგ გორგასლის ორდენით დააჯილდოვა

შორენა მარსაგიშვილი

ბიძინა ივანიშვილი, გიორგი მარგველაშვილი და სხვა მაღალი რანგის მეოცნებეები დაგვპირდნენ, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა. სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში ერი გაინაბა. ნანატრი 27 ოქტომბერიც დადგა და აგერ 6 ნოემბერიც დაგვათენა თავს, თუმცა სამართალი ისევ მშიერია. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, არც კოაბიტაცია დასრულებულა და ის უსასრულობამდე გაგრძელდება.

ეს მიხეილ სააკაშვილმაც კარგად იცის და წასვლის წინ გადაწყვიტა ხალხის ნერვებზე ითამაშოს. ჯერაც პრეზიდენტი შეწყალებების მულამაზეა მოსული. ის იმ ხალხს იწყალებს, რომელთა გასამართლებასაც მთელი ერი ითხოვდა.

რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილმა ბაჩო ახალაია შეიწყალა. გუშინ კი მან ძებნილი რევაზ ჭარბაძე შეიწყალა. მარტო შეწყალება არ აკმარა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

რევაზ ჭარბაძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის პოსტს იკავებდა. მანამდე კი, როდესაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩანა ახალაია იყო, ჭარბაძე მისი მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ რევაზ ჭარბაძეს ორი მუხლით წაუყენა ბრალი – სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 144-ე პირმა 3-ე მუხლის 2– ნაწილის „ა“ „ბ“ „დ“ „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა). საქმე ეხება იმ პერიოდს, როდესაც რევაზ ჭარბაძე სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობდა, მა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# თეა წულუკიანი: „არ ვიცი, როგორ უნდა დავაბრუნოთ წართმეული ქონება“

ნათია ხურცილავა

**„ქორთიარდ მარიოტში" გამართული შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. დარჩება თუ არა ახალ მინისტრთა კაბინეტში? ამ კითხვაზე წულუკიანი დადებითად პასუხობს, თუმცა, იქვე ახალი პრემიერის სურვილის შესახებაც ამახვილებს ყურადღებას.**

როგორც იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, თუ მომავალ პრემიერს სურვილი ექნება, იგი მზადაა, მას ქვეყნის ევროპასთან დაახლოებაში დაეხმაროს. წულუკიანის თქმით, ახალ პრემიერს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ ინდივიდუალური კონსულტაციები ჯერ არ დაუწყია.

— ჩვენ მას დრო უნდა მივცეთ, რადგან მას სახელმწიფოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. მან ეს ქვეყანა ევროპასთან და ევროპამდე უნდა მიიყვანოს. აქედან გამომდინარე, მანვე უნდა შეარჩიოს ის გუნდი, რომელიც მას ამის საშუალებას მისცემს, რომ ჰყავდეს ძლიერი და ეფექტიანი მთავრობა. აქედან გამომდინარე, მთლიანად მომავალ პრემიერზეა დამოკიდებული, ვის ჩარიცხავს საკუთარ გუნდში. ამისთვის მას სჭირდება დრო. ეს დრო ბევრი არ არის დარჩენილი, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ მან საკუთარი გუნდი დააკომპლექტოს, — განაცხადა წულუკიანმა.

ევროპის სავალ გზაზე წულუკიანი თავის გამოცდილებას სთავაზობს ახალ პრემიერს.

— ვთვლი, რომ ჩემი საქმით ქვეყანას დახმარება სჭირდება. თუ მომავალ პრემიერს ამის სურვილი ექნება, მე მზად ვარ, რომ მას დავეხმარო იმ დიდ საქმეში, რასაც ევროპასთან მიახლოება ჰქვია, — დასძენს წულუკიანი.

წულუკიანი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს ყველანაირი პატიმრის შეწყალება უნდა შეეძლოს და მას მართებულად არ მიაჩნია ამ საკითხში პატიმართა რანჟირება.

იუსტიციის მინისტრის თქმით, პროცედურა უნდა დაიხვეწოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხვდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალების აქტი.

— საერთოდ, შეწყალების ინსტიტუტი, ისევე, როგორც საპატიმროებში სასჯელის მოხდის



მიმდინარეობა, რა თქმა უნდა, რეფორმას საჭიროებს. მე არ ვარ იმ აზრის, რომ პატიმრები კატეგორიებად დაიყოს და ზოგიერთის შეწყალება შეეძლოს პრეზიდენტს და ზოგის — არა. ჩემი აზრით, პრეზიდენტს ყველანაირი პატიმრის შეწყალება უნდა შეეძლოს, ამაში არ არის პრობლემა. პრობლემა იმაშია, რომ თვითონ პროცედურა უნდა დაიხვეწოს, თუ როგორ ხვდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალების აქტი. აქ არის მთავარი პრობლემა, — აცხადებს წულუკიანი.

იუსტიციის მინისტრი ყურადღებას ამახვილებს იმ კომისიაზე, რომელიც სწორედ მსგავს გადაწყვეტილებებს იღებს.

— პროცედურა უნდა გადაიხედოს, გამჭვირვალე უნდა იყოს საზოგადოებისთვის და ის კომისია, რომელიც მუშაობს, ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს, რომ პრეზიდენტს მიეწოდოს მხოლოდ იმ პატიმრების საქმეები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ შეწყალებას. ხოლო პრეზიდენტს უნდა შეეძლოს მოაწეროს ან არ მოაწეროს ხელი ამა თუ იმ პროექტს. მთავარია, მაინც ის, რომ ჩვენ გვყავს გონიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტი და მის პირობებში გამორიცხულია იმგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, როგორიც ბაჩო ახალაიას შემთხვევაში ვიხილეთ, — განაცხადა წულუკიანმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ყურადღება გაამახვილა იუსტიციის მინისტრმა, ეს წართმეული ქონების დაბრუნებას ეხება, რომელიც, ექსპერტების განცხადებით, სწორედ სამართლიანობის აღდგენის ნაწილს მოიცავს.

იუსტიციის მინისტრს გუშინ ჟურნალისტებმა ჰკითხეს, აპირებს თუ არა სახელმწიფო წართმეული ქონების დაბრუნებას, რომლის შესახებაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ წართმეული ქონების უკან დაბრუნება ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულად დააზარალებს.

— ეს მართალია, იმიტომ, რომ მილიარდობით ქონებაა, — განაცხადა წულუკიანმა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბიზნესმენების მიერ სახელმწიფოსთვის ქონების ე.წ. ჩუქების 9700 შემთხვევაა დაფიქსირებული. ასევე ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ამის გარდა, არსებობს ქონების წართმევის ასეულობით შემთხვევა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ თუ ქონებაჩამორთმეულთა ვალს სახელმწიფო თავის თავზე აიღებს, შესაძლოა, ამით საზოგადოების განვითარების პერსპექტივა დაიკარგოს.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო ქვეყანაში ერთიანი საკადასტრო სტანდარტის შექმნაზე მუშაობს.

ამ მიზნით, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საჯარო რეესტრის ინიციატივით, სააზომველო კომპანიების წარმომადგენლებს ხვდება.

— საქართველოში რამდენიმე ასეული კერძო კომპანია არსებობს, რომლებიც აზომვით საქმიანობას აწარმოებენ. მონაცემები, რომლებიც ამზომველ კომპანიებს საჯარო რეესტრში შემოაქვთ, ძალიან ხშირ შემთხვევაში, პრობლემურია როგორც ხარისხის, ასევე, სიზუსტის კუთხით. საქართველოში დღეს ერთიანი საკადასტრო სტანდარტი არ არსებობს, ამიტომ ვხვდებით კომპანიებს, რომ პირველი ნაბიჯები გადავდგათ. საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს ერთი მავნე ჩვევა — ზოგიერთი კომპანია ადგილზე საერთოდ არ გადის და მიწებს თავისი კაბინეტიდან ზომავს, ეს ყველაფერი კი კერძო საკუთრების ხელყოფას იწვევს. ეკონომიკა და ბიზნესი ვერ განვითარდება თუ საკუთრება დაცული არ იქნება, — განუცხადა ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა.

საჯარო რეესტრი კერძო კომპანიებს, რომლებიც უძრავი ქონების რეგისტრაციისთვის საკადასტრო აზომვით ნახაზებს ასრულებენ, ნახაზის სავალდებულო ფორმას უწესებს. რეესტრის ცნობით, დაგეგმილი ცვლილება ინფორმაციის ერთგვაროვნებასა და სიზუსტეს უზრუნველყოფს. პროექტის თანახმად, პასუხისმგებლობა დაინტერესებულ პირსა და ამზომველს შორის გადანაწილდება, რაც ორივე მხარეს მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, მისი საზღვრების სწორად დადგენას და შემდეგ მაღალი სიზუსტით აზომვას აიძულებს.

— საკადასტრო სტანდარტის შემუშავების შესახებ ვმუშაობთ. იმისთვის, რომ უძრავი ქონების დარეგისტრირება შესაძლებელი გახდეს, საამზომველო კომპანიამ საჯარო რეესტრში მოთხოვნების შესაბამისად შესრულებული ნახაზი უნდა წარმოადგინოს, — განაცხადა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ეკა კერესელიძემ. ცნობილი გახდა, რომ ახალი წესები, სავარაუდოდ, იანვრიდან ამოქმედდება.

წულუკიანი ამბობს, საქართველოში აზომვითი საქმიანობით რამდენიმე ასეული კერძო კომპანიაა დაკავებული. მისი თქმით, დღეს ერთიანი საკადასტრო სტანდარტი არ არსებობს.

— საბოლოოდ, ერთი მავნე ჩვევა უნდა აღიკვეთოს. ზოგი კომპანია ადგილზე საერთოდ არ გადის და მიწას თავის კაბინეტში ზომავს. ეს, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრების უფლების ხელყოფას იწვევს. საქართველოში ეკონომიკა, ბიზნესი ვერ განვითარდება თუ კერძო საკუთრება დაცული არ იქნება. ამიტომაც არის გადაფარვები და სასამართლოებში დავა. გვინდა ამას, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დავუსვათ, — აღნიშნა წულუკიანმა.

# სააკაშვილმა ძებნილი შეიწყალა და ვახტანგ გორგასლის ორდენით დააჯილდოვა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შინ, როცა ამ უწყებას ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობდა. კერძოდ, საუბარია ციხის ბუნტის საქმეზე, რომელშიც სასამართლომ ჭარბაძე დამნაშავედ ცნო არაადამიანური მოპყრობის ნაწილში.

— ეს ბრალდებები არა მხოლოდ თავიდანვე იყო სამართლებრივად საეჭვო, არამედ, ზოგადად, გადაჭარბებულ ინტერესს იწვევდა მთავრობაში ჭარბაძის მიმართ, მათ შორის, წარმოადგენდა სამართალდამცავ სისტემებში დაბრუნებული იმ თანამდებობის პირების ინტერესს, ან შესაძლოა დავალებასაც, რომლების შევარდნაძის პერიოდში შემჩნეული იყვნენ საქართველოს ამჟამინდელი ოკუპანტის სპეცსამსახურებთან მჭიდრო თანამშრობლობაში. სხვათა შორის, ეს გაითვალისწინა ევროკავშირის იმ ქვეყნის ხელისუფლებამ, რომელმაც რევაზ ჭარბაძეს უმოკლეს ვადაში მიანიჭა პოლიტიკური თავშესაფარი. ჩემი პრეზიდენტობა ემსახურებოდა ჭარბაძის მსგავსი ნიჭიერი ახალგაზრდების საქართველოში მოზიდვას და მათ გამოყენებას ქვეყნის საკეთილდღეოდ. ვამაყობ, რომ ბევრ ასეთ ადამიანს გავუხსენით გზა. სამწუხაროა, რომ ახლა საპირისპირო ტენდეცია გაჩნდა და ასეთ ხალხს ან ატოვებინებენ ქვეყანას, ან ისინი თავად იღებენ ასეთ გადაწყვეტილებას უპერსპექტივობის გამო. ამჟამად წარმოებაც თითქმის გაჩერებულია და სპეციალისტებიც ისევ დაუსაქმებელი გვყავს, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ჭარბაძე ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული თაობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე და დამსახურებული წარმომადგენელია.

— მე არა მხოლოდ უყოყმანოდ ვაწერ ხელს მისი შეწყალების დოკუმენტს, არამედ ვაჯილდოებ მას ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით ნიშნად დაფასებისა იმ დიდი ღვაწლისა, რაც საუკუნეების შემდეგ, ქართული სამხედრო წარმოების აღორძინებით და შექმნით გამოიხატა. გარდა იმისა, რომ თბილისის გარშემო თავდაცვის ზღუდეების მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ქართულ სამხედრო ინდუსტრიას რეზო სათავეში მაშინ ჩაუდგა, როცა ის, პრაქტიკულად, გაპარტახებული და განადგურებული იყო. ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ახალ იარაღს იმ პირობებში, როდესაც 2008 წლის შემდეგ თითქის ყველა ქვეყანა ყოყმანობდა და უარს ამბობდა მოეყიდა იარაღი.

ასეთ ვითარებაში არაერთხელ აღმოჩდა ისრაელი და სინგაპური. ჩვენ სწორედ მათ მივბაძეთ, როდესაც ფართომასშტაბიანი ადგილობრივი სამხედრო წარმოების შექმნა გადავწყვიტეთ. რეზო ძალიან სერიოზულად მიუდგა ჩემს ამ დავალებას. მან მოიარა ბევრი ქვეყანა, შეხვდა წინა წლებში სამშობლოდან გადახვეწილ სპეციალისტებსა და ინჟინრებს და ისინი საქართველოში დააბრუნა. ამას გარდა, დაითანხმა ნიჭიერი უცხოელი სპეციალისტები, ეთანამშრომლათ ჩვენს ქვეყანასთან“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ჭარბაძემ შეძლო, რომ სახელმწიფოსთვის დაებრუნებინა საბაზისო წარმოებები, რომელთა პრივატიზება „სხვადასხვა საეჭვო ჯგუფებმა წინა წლებში გაურკვეველი მაქინაციების გზით“ მოახერხეს.

# დავით ნარმანიას მთავრობაში დარჩენის იმედი აქვს

ნათია ხურცილავა



ახალ მინისტრთა კაბინეტში დავით ნარმანია შეინარჩუნებს თუ არა პორტფელს? ამ კითხვით გუშინ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ჟურნალისტებმა მიმართეს. ნარმანია იმედოვნებს, რომ საქმიანობას ახალ მინისტრთა კაბინეტშიც გააგრძელებს.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისმა უწყებამ ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად იმუშავა.

— ველოდები, რომ გავაგრძელებ საქმიანობას, გამომდინარე იქიდან, რომ არსებითი ჩავარდნები არ გვქონია ჩვენი სამინისტროს სისტემაში და ბევრი პროგრესული რამ განვახორციელეთ. ეს მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მუშაობას, ალბათ, ახალ მინისტრთა კაბინეტშიც გავაგრძელებ, — განაცხადა ნარმანიამ.

მინისტრის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავრობაში კონსულტაციები ჯერ არ ყოფილა და გადაწყვეტილებას ახალი პრემიერ-მინისტრი თავად მიიღებს.

— ჯერ სულ რამდენიმე დღე გავიდა, რაც ახალი პრემიერმინისტრობის კანდიდატი დასახელდა და მას აქვს საკმარისი დრო იმისთვის, რომ გააანალიზოს ყველაფერი, კონსულტაციები გაიაროს მინისტრთა კაბინეტის წევრებთან. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოყალიბდება ყველაფერი. ჯერჯერობით, ჩვეულებრივი ტემპით ვმუშაობთ, — განაცხადა ნარმანიამ.

გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ რეგიონული განვითარების სამინისტრომ მინისტრის ხელმძღვანელობით ექსპერტებს თვითმმართველობის კოდექსი გააცნო.

როგორც უწყების ხელმძღვანელმა დავით ნარმანიამ შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, თვითმმართველობების პრობლემა საქართველოში ბოლო 20 წელია არსებობს.

— თვითმმართველობები სუსტია და ადგილებზე არსებულ პრობლემებს ვერ აგვარებენ, — ითქვა პრეზენტაციაზე.

მინისტრის თქმით, სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოგვარება ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა.

როგორც ნარმანიამ განმარტა, კოდექსის თანახმად, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და ეს სტატუსი იმ ქალაქებსაც მიენიჭება, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 000-ს აჭარბებს. თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან თემები ჩამოყალიბდება, რომელთა ბაზაზე მუნიციპალიტეტები შეიქმნება. კოდექსით ასევე განსაზღვრულია საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა.

მინისტრის განმარტებით, გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად კოლეგიალური ორგანო შეიქმნება, რომელშიც საკრებულოს წევრები იქნებიან წარმოდგენილი.

— რეფორმის შედეგად მოხდება ქვეყნის მასშტაბით ქალაქებისა და სოფლების სწორი სოციალ-ეკონომიკური განვითარება. ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაუახლოვდება საკუთარ მოსახლეობას, რაც გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის დონეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში, — განაცხადა ნარმანიამ.

გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ შეხვედრას სხვადასხვა ექსპერტები, მინისტრის მოადგილე თენგიზ ჩერგელაშვილი, მთავრობის კანცელარიის, რეგიონებსა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მელაშვილი, ექსპერტები და თვითმმართველობის რეფორმაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრეზენტაციის შემდეგ მინისტრმა, დავით ნარმანიამ, ზურაბ ჭიაბერაშვილის ბრალდებას უპასუხა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პარტიული აქტივით დაკომპლექტებით სწორედ წინა ხელისუფლება გამოირჩეოდა და დღეს მსგავსი რამ არ ხდება.

მინისტრის თქმით, ახალი მოდელის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობებში კადრების ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს და თანამდებობებზე მხოლოდ კონკურსის წესით დაინიშნონ.

— სწორედ წინა ხელისუფლებამ გააკეთა ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე შტატები პარტიული აქტივით რამდენიმე ათასით გაზარდა. მათი ძირითადი ნაწილი მხოლოდ პარტიული დავალებების შემსრულებელი იყო. ამ შემთხვევაში მსგავს რამეს ადგილი არ აქვს. დღეს 13 000-მდე მოხელე მუშაობს. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, კადრების ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს და მათი რიცხვი პირველ ეტაპზე, 11 000-მდე შემცირდეს, — აცხადებს ნარმანია.

ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, რომ კვლევის ანალიზით დგინდება, რომ საერთო ჯამში, წლიურად სახელმწიფო ბიუჯეტს „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმება 15 მილიონ ლარზე მეტი უჯდება.

რაც შეეხება ყოფილი ხელისუფლების პრობლემის განხორციელებულ თუ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, ნარმანია იმედოვნებს, რომ პასუხის გაცემა ბევრ მოხელეს მოუწევს.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, კახეთის გუბერნატორის განცხადება, ქვეყნის მასშტაბით არაერთი პროექტის შეჩერების შესახებ, საკუთარი ხალხის მოტყუებაა.

ნარმანია განმარტავს, რომ მხოლოდ კახეთის რეაბილიტაციის პროექტში არაერთი დარღვევაა აღმოჩენილი.

— არ მაინტერესებს, რას ამბობს ჭიაბერაშვილი და რას ატყუებს საკუთარ ხალხს. რაც მათ გააკეთეს, ეს ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ამ შემთხვევაში, ხაზს ვუსვამ კახეთის რეაბილიტაციის პროექტს, სადაც თუკი რაიმე სახის დარღვევა არსებობს, ყველა აღმოვაჩინეთ და გამოვავლინეთ. დიდი ოპტიმიზმით ვარ განწყობილი, რომ ძალიან ბევრ მოხელეს პასუხის გაცემა მოუწევს იმ საკითხებზე, რა მასალებიც ჩვენ გადაგზავნილი გვაქვს საგამოძიებო ორგანოებში. ასე რომ, ვურჩევ მათ, ფრთხილად იყვნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ ხალხს ატყუებენ, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

## სოზარ სუბარი: „ახალ მინისტრთა კაბინეტში სერიოზული ცვლილებები არ იგეგმება“



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, ახალ მინისტრთა კაბინეტში სერიოზული ცვლილებები არ იგეგმება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სოზარ სუბარმა განაცხადა, იგი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს.

„თანამდებობიდან წასვლა სხვა ფორმულირებაა. გადასვლაზე იყო საუბარი, ეს რამდენიმე თვის წინანდელი ამბავია და ასეც რომ მომხდარიყო, ისედაც ვრჩებოდი გუნდში. თუმცა მოგვიანებით გადაწყდა, რომ დავრჩენილიყავი იქ, სადაც ვარ. დღესაც მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ დავრჩე და მუშაობა გავაგრძელო. რაიმე სიგნალი არ მიგრძვნია. თუმცა ცხადია, არ ვაპირებ მოვლენებს წინ გავუსწრო. ახალი პრემიერ-მინისტრი თავის გუნდს თავად წარადგენს. უცვლელობის შენარჩუნებაც მისი პრეროგატივაა და შემდეგ უკვე პარლამენტის. გვარ-სახელებთან დაკავშირებით არაფერი გამიგია. რამდენადაც ვიცი, არანაირი სერიოზული ცვლილება არ იგეგმება“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მედიანიუსი

## პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესს ამარტივებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეობის მსურველთათვის მოქალაქეობის მიღების პროცედურებს ამარტივებს. ამის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის ფეისბუქის გვერდზეა გამოქვეყნებული.

„საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნით, ბოლო პერიოდის განმავლობაში ძალიან ბევრი ადამიანი მოგვმართავს ჩვენ, რადგან იუსტიციის სამინისტრო მათ ეუბნება უარს. ამ ადამიანებს შორის არიან ისეთები, რომლებიც არასდროს ყოფილან საქართველოს მოქალაქეები და ახლა სურთ მოქალაქეობის მიღება; არიან ისეთებიც, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა იმის გამო დაკარგეს, რომ მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ამას გარდა, საქართველოს მოქალაქეობის მიღება სურთ უცხოელ ბიზნესმენებს, რომლებიც დიდი ხანია საქმიანობენ საქართველოში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ამპლუაში კიდევ უფრო აქტიურად აპირებენ მუშაობის გაგრძელებას და იმ უცხოელ ბიზნესმენებს, რომლებიც ახლა აპირებენ ინვესტიციების ჩადებას. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ამ ხალხს გამარტივებული წესით მივანიჭოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა, რათა ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად ინტეგრირებული იყოს გარე სამყაროსთან“, – ნათქვამია წერილში.

საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველებს შეუძლიათ მომართონ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და განაცხადები შეიტანონ ყოველ სამუშაო დღეს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

მედიანიუსი

## სერგო ჯავახიძეს პარტიის აქტივისტები კუთვნილი ხელფასის გადაუხდელობაში ადანაშაულებენ



პარტიას – „სამართლიანი საქართველოსთვის“ – საკუთარი აქტივისტები უპირისპირდებიან. მათი განცხადებით, 27 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ქუთაისის საარჩევნო უბნებში ისინი დამკვირვებლები იყვნენ, შესაბამისად, „სამართლიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს გაწეული სამსახურისთვის თავიანთი აქტივისტებისთვის ხელფასი უნდა გადაეხადა. თუმცა, როგორც აქტივისტები შენიშნავენ, პარტია ხელფასების გაცემას არ აპირებს. აქტივისტები აპირებენ, პარტიას შესაბამის ორგანოებში უჩივლონ და კუთვნილი ხელფასები მოითხოვონ.

ამ საკითხთან დაკავშირებით „მედიანიუსი“ „სამართლიანი საქართველოსათვის“ ქუთაისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ გოჩა ბაძგარაძეს დაუკავშირდა. როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე პარტიის წარმომადგენლების გარკვეული ჯგუფი არ გამოცხადდა, რაც ქუთაისის შტაბის ზემდგომმა ორგანომაც –- „სამართლიანი საქართველოსათვის“ ცენტრალურმა შტაბმაც დაადასტურა და აღრიცხა. შესაბამისად, ეს ჯგუფი ხელფასსაც ვერ მიიღებს.

„ვინც საარჩევნო უბანზე პარტიის წარმომადგენლების სიაში იყო ჩაწერილი, მაგრამ უბანზე არ გამოცხადდა, რეგისტრაცია არ გაიარა, ან მხოლოდ რეგისტრაცია გაიარა, მაგრამ პროცესებს კეთილსინდისიერად, თავიდან ბოლომდე არ დააკვირდა, ანაზღაურებას როგორ მიიღებს?! თუ საარჩევნო უბანზე არ მიხვალ და რეგისტრაციას არ გაივლი, როგორც ეს გევალება, ხელფასი რაში უნდა გადაგიხადო?! „ –- აღნიშნა გოჩა ბაძგარაძემ.

„მედიანიუსის“ კითხვას, პარტიის რამდენი წარმომადგენელი იყო შეყვანილი სათანადო სიაში და მათგან რამდენი არ გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე, გოჩა ბაძგარაძე აცხადებს, რომ მას კონკრეტული რიცხვები არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი სერგო ჯავახიძე 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა. მან ხმათა მხოლოდ 0, 13 პროცენტი მიიღო.

მედიანიუსი

# გიორგი კობახიძე: „ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკურ მდივან გიორგი კობახიძესთან

***– როგორ აფასებთ 27 ოქტომბრის არჩევნებს?***

– არჩევნებთან დაკავშირებით ორი კუთხით ფასდება ხოლმე ეს არჩევნები, წინა არჩევნებთან დაკავშირებით ანუ იმ არჩევნებთან, რომელსაც სმკ და ნაცმოძრაობა ატარებდნენ და მეორეც, რომ ეს არჩევნები სამართლიანი და დემოკრატიული იყო. ჩემთვის სრულიად გაუგებარია ამგვარი შეფასებები, საერთაშორისო პარტნიორი ქვეყნების დამკვირვებლებიც ასე აფასებენ ამ არჩევნებს. ჩემთვის შეურაცხმყოფელია ასეთი შეფასებები იმიტომ, რომ თავს ვგრძნობ, როგორც ლაბორატორიაში საცდელი ობიექტი. თუ სამართლიანობასა და დემოკრატიულობაზეა საუბარი, აქ მიდგომა სულ სხვაგვარი უნდა იყოს, წინა არჩევნებთან შედარებით, გარემო იყო უკეთესი, იმიტომ, რომ არ იყო მუქარა და ძალადობა ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლებზე, მაგრამ დემოკრატიულობისა და სამართლიანობის არანაირ ჩარჩოში ეს არჩევნები არ ჯდება იმის გამო, რომ არათანაბარი და არათავისუფალი იყო. საარჩევნო კოდექსი არ შეიცვალა. კითხვა მაქვს, რატომ არ შეიცვალა ეს კოდექსი, როცა ამას ითხოვდნენ კოალიციის სუბიექტები ნაცმოძრაობისგან? პასუხიც აქედან იკვეთება, სათავისოდ მოეწონათ ეს კოდექსი და იმიტომ. რატომ არ დამუშავდა სიები? იმიტომ, რომ ეს სიებიც სათავისოდ ჰქონდათ და ამ სიებით მანიპულირება უფრო ადვილი იყო. გახსოვთ, როგორ იქადნებოდნენ, ნაცმოძრაობამ საშუალება მოგვცეს და კოდექსსაც და სიებსაც სამ თვეში აჟურში მოვიყვანთო. საეთერო დროს რაც ეხება, ესეც საარჩევნო კოდექსთან იყო დაკავშირებული, ხოლო საარჩევნო კომისიები მთლიანად მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის მიერ იყო დაკომპლექტებული. ადმინისტრაციული რესურსიც ფართოდ იყო გამოყენებული ამ ორი ძალის მიერ. ბიზნესის მონაწილეობა არჩევნებში და მატერიალური უპირატესობა, რომელიც ამ ორ ძალას გააჩნდა, ესეც უნდა აღინიშნოს. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ახალი რეალობა დაიწყო, ახალი კანონიც საჭირო იყო.

***– ეს როგორ უნდა დარეგულირდეს, ყველა მონაწილე პარტიას ერთნაირი საშუალება უნდა ჰქონდეს?***

– ერთნაირი, ბუნებრივია, არ ექნებათ, მაგრამ არსებობს მინიმუმი და მაქსიმუმი ზღვარი მათ შორის ძალიან დიდი არ უნდა იყოს. მომავალში ყოველივე ის, რაზეც მოგახსენეთ, უნდა შეიცვალოს, თუ არ შეიცვლება, ჩვენი ქვეყანა წინ ვერ წავა.

***– „დემოკრატიული მოძრაობა“ მეორე ადგილზე რომ გასულიყო, ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, იგივე შეფასებები გექნებოდათ?***

– ეს შეფასებები არჩევნებამდე ბევრად ადრეც გავაკეთე, თანაც არაერთხელ. ეს არ არის ცხელ გულზე შედეგებიდან გამომდინარე ნათქვამი.

***– მალევე ნინო ბურჯანაძემ გამოაცხადა, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის იწყებს მზადებას. გაქვთ მექანიზმები, რითიც ამ არჩევნებში მოსთხოვოთ ხელისუფლებას შეცვალოს უვარგისი სიები და არანაკლებ უვარგისი კოდექსი?***

– ჩვენ ამისთვის წინაპირობა შევქმენით, რომ მუდმივად ვითხოვდით ამ ცვლილებებს. საკონსტიტუციო რეფორ-



მასთან ერთად ერთ კონტექსტში ვაყენებდით ამ მოთხოვნებს. ამ მიმართულებითაც არაფერი გაკეთებულა. ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. სააკაშვილზე მორგებულ კონსტიტუციას ხშირად იშველიებენ საილუსტრაციოდ. ბრძოლა გვიწევს ამ მიმართულებით და არა კონსტრუქციული მუშაობა, ეს ჩვენი პარტიისთვის კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად ქვეყნისთვის არის ჰაერივით აუცილებელი. კაციტაძის ავადსახსენებელ სიებთან შედარებით, ამ არჩევნებისთვის არსებული სიები უფრო უარესი იყო. არ გამოვრიცხავ, მოხდეს ჩვენს პარტიაში რეორგანიზაცია და შეფასებები, სად როგორ იმუშავა სტრუქტურამ, გამოჩნდება ყველაფერი. ასევე საინტერესოა, როგორი იქნება კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ძალიან არ მომწონს ეს პროექტი, ცალკე შეიძლება ვისაუბრო ამ საკითხზე, იმდენად ყოვლისმომცველია და ფართოა ეს საკითხი. რეალობას ვერ ასახავს.

***– საკმარისი დრო გაქვთ, გაზაფხულზე არჩევნებამდე რომ მოემზადოთ?***

– არ არის დიდი დრო, ექვსი თვე ამისთვის საკმარისი არ არის. დეკემბრისთვის თუ შეიცვლება საარჩევნო კოდექსი, შეიძლება ვისაუბროთ დროში ოპტიმალურად გამოყენებაზე, თუ არადა, სამწუხარო ვითარება იქნება.

***– მოლოდინი იყო და გამოხმაურება, რომ თუ ბურჯანაძე მესამე ადგილზე გავა, ის ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ჯონდი ბაღათურია აპირებდა შეერთებოდა ამ აქციას, რატომ აიღო ნაცმოძრაობამ მეორე ადგილი?***

– ფაქტებზე დაფუძნებულია ის შეფასებები, რაც მე გავაკეთე, ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებდა და მათ ხელში იყო ყველა ბერკეტი, საშუალება არ მოგვეცა მოგვეპოვებინა სამართლებრივი საფუძვლები არჩევნების გასაჩივრებისა. როცა საარჩევნო კომისიაში ყველა წევრი სხვისია, არიან ასევე სატელიტი პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ჩვენი ორგანიზაციიდან ამას უპირისპირდებოდა მხოლოდ ორი ადამიანი, აქ ძნელია მოიპოვო სამართლებრივი მასალა გასაჩივრების. ჩვენ ამის გამო ვერ მოვუწოდეთ საზოგადოებას არჩევნების გაპროტესტებისკენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ჰქონდა საფუძველი განეცხადებინა, რომ არჩევნები მეტ-ნაკლებად კარგად ჩატარდა. ჩვენ ვითხოვდით, კვალიფიციური სუბიექტის განსაზღვრისთვის საპრეზიდენტო არჩევნებიც ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ დაფინანსებაზეა საუბარი იმ პარტიისთვის, რომელიც ზღვარს გადალახავს. მილიონამდე გაწეული ხარჯის უკან დაბრუნება ხდება.

***– ორი პირველი პირი უკვე ცნობილია, როგორია მთავრობაში ძალთა ბალანსი?***

– ჩემთვის მთავარია პოლიტიკური გარემო, ამიტომ პიროვნებებამდე არ დამყავს ანალიზი. იმიტომ კი არ ვუპირისპირდებოდით სააკაშვილს, რომ მისი სახელი და გვარი არ მოგვწონდა, არამედ იმიტომ, რომ მანკიერი სისტემის ხელმძღვანელი იყო, ცდილობდა, ეს სისტემა გაეძლიერებინა. ისევ ერთი სუბიექტის ხელშია მთელი ძალაუფლება, ხოლო მთავარ ოპოზიციურ ძალად გააფორმეს ნაცმოძრაობა, ჩვენთვის ცნობილი დამნაშავე ძალა. ის საფრთხეს ვერ შეუქმნის „ქართულ ოცნებას“ იმიტომ, რომ კრიტიკა და უკმაყოფილება, რომელიც მოდის „ქართული ოცნების“ მისამართით, არასოდეს გადაიზრდება ნაცმოძრაობის მხარდაჭერაში. ასეთ გარემოში კომფორტულად გრძნობს „ქართული ოცნება“ თავს. თუ სისტემის შეცვლაზე არ იზრუნა არსებულმა ხელისუფლებამ, მასაც ის მოუვა, რაც დაემართა ნაცმოძრაობას. ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე. აქ წესი ირღვევა.

***– ბევრი კრიტიკა ისმის ცალკეული მინისტრების საქმიანობასთან დაკავშირებით. ვის დატოვებდით მთავრობაში და ვის გაუშვებდით?***

– ეს მთავრობა არის სუსტი არა იმიტომ, რომ ცალკეული მინისტრები არიან სუსტები, მთავარი სისუსტე ისაა, რომ მისი ლეგიტიმურობის ხარისხი დაბალია. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პარლამენტის ლეგიტიმურობის ხარისხი ძალიან დაეცემა. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის ხარისხიც ძალიან დაბალია. ყოველმა ამ სუბიექტმა ლეგიტიმაცია მოიპოვა მხოლოდ ივანიშვილის ხარჯზე. ეს ადამიანი ოფიციალური პოლიტიკიდან განზე გადის. ხალხის დამოკიდებულება და ხელისუფლების შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის. ქვეყანა ცხოვრობს პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში. ერთი წელია ეს ხელისუფლება სათავეშია და არ გვაქვს ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა. საგარეო პოლიტიკაშიც რომ ვნახოთ რა ხდება, მავთულხლართები და ადამიანების გატაცებები.

***– მესმის, მაგრამ მათ აქვთ გასასამართლებელი არგუმენტები, რომ იძულებით კოაბიტაციაში იყვნენ ნაცმოძრაობასთან, რომ სააკაშვილი არ ნიშნავდა ქვეყნების ელჩებს, რომ იყო საბოტაჟის ნიშნები და მუდმივად უწევდათ სააკაშვილის მიერ აბრიალებული ცეცხლის ჩაქრობა. ამაზე რას იტყვით?***

– კი მაგრამ, მე სტრატეგიულ გეგმებზე ვსაუბრობ. ეს არ ჰქონდათ. სამოქმედო გეგმაზე თქვენ საუბრობთ, როცა სტრატეგია არა აქვთ, სხვა მიზეზებს აბრალებენ ამას. ხუდონჰესის საკითხი, სტრატეგია არ არსებობს ენერგეტიკის და ეკონომიკური განვითარების კუთხით, მხოლოდ ლოკალური განხილვები მიდის.

***– მესმის თქვენი შეფასებები, არის საუბარი, რომ ხუდონჰესის საკითხში იკვეთება კალაძის ინტერესები და რომ შეჯახებაა ლევან პირველსა და კალაძის ბიზნესებს შორის და, რომ პირველი სვანებს აბუნტებს ხუდონის წინააღმდეგ. მაგრამ ფაქტია, რომ არ არის დასკვნა ეკოლოგებისა და სპეციალისტებისა.***

– მე ამ სიღრმეებში ვერ წავალ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ თუ არ არის სტრატეგია, არ იქნება არანაირი ქმედებები სწორად მიმართული. ეს ერთი წელი ხელისუფლებას უნდა გამოეყენებინა ამისთვის, რომ დარგების მიხედვით შეემუშავებინა სტრატეგია. იმიტომ არ გააკეთა ეს, რომ ერთ კაცზე იყო ჩამოკიდებული ყველაფერი.

***– ერთი მხრივ, ალბათ, კარგიც არის, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, პასუხისმგებლობას იგრძნობენ და იმოქმედებენ.***

– ვერ გააკეთებენ ამას, უნდა მოხდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

***– ამაზე უკვე უარი მიიღეს არასაპარლამენტო პარტიებმა.***

– კრიზისი გაგრძელდება და გაღრმავდება.

***– თუმცა ივანიშვილის წასვლით კერპთაყვანისმცემლობა და ბელადომანია იქნებ აღარ იყოს.***

– ივანიშვილი მუდმივად დარჩება ფაქტორი იმ ხალხისთვის, ვინც მისით მოვიდნენ ხელისუფლებაში. არა აქვს მნიშვნელობა, სად იქნება ის. თუ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, პასუხისმგებლობა ბიძინაზე კი არა, არამედ პირდაპირ პოლიტიკურ პარტიებზე გადავა. ივანიშვილის გემოვნების საკითხი იყო, რომ სწორედ ამ ხელისუფლებას ემართა ქვეყანა.

***– ადგილობრივ არჩევნებში კოალიციის სუბიექტები დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას და ამაზე თანახმა არიან. ეს არჩევნები მათ ძალას აჩვენებს, რამდენად პოპულარულები არიან.***

– ამაზე ვერ ვილაპარაკებ, სანამ კანონი ადგილობრივი მმართველობების შესახებ არ შეიცვლება.

***– მერის პოსტზე თუ გყავთ კანდიდატურა?***

– ჩვენ მოვერიდებით ამაზე ახლა საუბარს, იმიტომ, რომ ამხელა ნახტომებით არ დავდივართ, შიდა განხილვების საფუძველზე შევარჩევთ კანდიდატურას.

## ნარკოტიკის საქართველოში შემოსატანად ჩვილი ბავშვი გამოიყენეს

საბაჟო გამშვები პუნქტის „სადახლოს“ ტერიტორიაზე, სომხეთის მოქალაქემ საქართველოში ნარკოტიკის შემოტანა ჩვილი ბავშვის დახმარებით სცადა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟოზე სომხეთის მოქალაქე ჩვილ ბავშვთან ერთად შემოვიდა. მებაჟე ოფიცრებმა ფიზიკური დათვალიერების დროს ჩვილის შარვლის ჯიბეში და ქალბატონის ქურთუკის ჯიბეში სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალება – „მარიხუანა“ იპოვეს. ნივთიერების საერთო მოცულობა 51 გრამია.

ნიუსპრესი

# ვის ახსოვს პერევი?

როლანდ ხოჯანაშვილი

ბოლო პერიოდში იმდენი რამ გავიხადეთ ინტერესის სფერო, რომ ვეღარ გაგვირკვევია, რა არის ავანგარდში მოსაქცევი და რა არიერგარდში. ვმსჯელობთ იმაზე, პირველი ლედი მარგველაშვილის არაოფიციალური ცოლია თუ მომავალი პრემიერის ცოლი, ცალკე მონარქიის აღდგენასა და ნათელ-მირონზე ვამახვილებთ ყურადღებას, ხან რესპუბლიკური პარტიის წარსულსა და მომავალზე ,,ვიხსნით ვენებს‟. მოკლედ, სანერვიულოს და დროის გასაყვან საშუალებას ყოველთვის ვპოულობთ. ერთ დროს ავიტაცეთ საზღვრისპირა სოფლების პრობლემა, მჯიღის ცემით პატრიოტული გამოსვლებით თავიც მოვიწონეთ ტელეეთერში და ახლა ეს თემა გადაიფარა უმნიშვნელო თუ რამდენადმე მნიშვნელოვანი საკითხით.

გაოცების მოყვარული ქართველები ვერ გაგვაოცა ივანიშვილმა და მოსალოდნელი კანდიდატურა დაასახელა მემკვიდრედ–მომავალი მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ეჭვი, რომ ივანიშვილი თავის შემცვლელად ,,შინაურს‟ წარადგენდა. ახლა იმაზე თავის გაცხელება არ ღირს, დამტკიცდება თუ არა ღარიბაშვილი პრემიერად, რადგან პარლამენტში პრემიერის ნება უზენაესია. სხვა თუ არაფერი, ,,ქართული ოცნების‟ წევრებმა კარგად იციან, რომ არა ივანიშვილის ფაქტორი, ვერასდროს მიაღწევდნენ პარლამენტარის რბილ და თბილ სავარძლამდე. ავტორიტარია თუ ავტოკრატი ივანიშვილი, ამასაც უკვე ხაზი გადაესმება. მალე ის საზოგადოებრივი სექტორიდან დააკვირდება მოვლენებს და საჭიროების შემთხვევაში ,,მეორედმოსვლას‟ არ გამორიცხავს, რაც არაერთი ადამიანისთვის მისასალმებელი ფაქტია. ივანიშვილი ჯერ ისევ რჩება ქვეყნის სტაბილურობისა და წინსვლის გარანტიად.

სამწუხაროდ, ვერც ივანიშვილმა შეძლო რუსეთის მცოცავი ოკუპაციის შეჩერება და მით უფრო, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ათასჯერ ნათქვამს გავიმეორებ, რომ მსოფლიო პოლიტიკური რუკის აჭრელება სწორედ ქვეყნების დაქუცმაცების შედეგია. 230 სახელმწიფო, რომელიც უკვე არსებობს დედამიწაზე, ხმელეთის ფართობის ზრდით რომ არ არის გამოწვეული, ბავშვისთვისაც გასაგებია. დასანანია, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უფრო ზეალმატებული ოცნების სფეროა, ვიდრე დიპლომატიის, პოლიტიკისა და ადმინისტრირების. შაგრენის ტყავივით შემცირებულ საქართველოს დაებედა ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად ტერიტორიების დაკარგვა. სად დევს ამ ყველაფრის საფუძველი, უკვე კარგად მოგვეხსენება, მეზობელი რუსეთი ფლობს იმ გასაღებს, რომელსაც ქართველთაგან ჯერ რომ ვერ მიუწვდა ხელი ვერცერთს.

მიმდინარე წელში, ვიდრე დიცსა და სხვა სოფლებში მავთულხლრთებს გაავლებდა რუსეთი, მანამდე ორჯერ ვიყავი პერევში, რომელიც 2008 წელს იყო ოკუპირებული, მერე პატრიარქის ჩარევით რუსეთის ჯარი გავიდა სოფლიდან (მახსენდება პრეზიდენტ სააკაშვილის უადგილო განცხადება, პერევის დეოკუპაცია მოვახდინეთო). საჩხერის ამ პატარა სოფელში მდინარის გაღმა-გამოღმა დარჩა ძველი ნათესავები, სახნავ-საძოვრები და მიწის მესაკუთრეები. უმიწოდ დარჩენილმა გლეხებმა მინისტრ ზაქარეიშვილს უამრავი სათხოვრით მიმართეს, ,,გაღმივლებიც‟ იყვნენ მისულები სოფლის ცენტრში ,,მიჯიპიანებულ‟ მთავრობის წარმომადგენლებთან, მაგრამ ყველას ეტყობოდა სახეზე, რომ იმედი დიდი არ იყო. რეინტეგრაცია მოჰყვა თუ არა ზაქარეიშვილის პერევულ ვოიაჟს?! არავითარი სახელმწიფო ჩარევა რეინტეგრაციის კუთხით! მოსახლეობას ისევ ძველი კავშირები, ნათელმირონობა და მეგობრობა თუ ,,რეინტეგრაციას უქმს‟, თორემ პოზიტივები არ ჩანს ზედა ეშელონების გამო. სახალხო დიპლომატია იმ წუთიდანვე ეფექტიანი გახდება, როგორც კი რუსეთი იმიერში გადაინაცვლებს (ოცნებას თავს ვერ ვანებებთ!).



რუსეთის რამდენიმე ათწლეულიანი ჩადგომა ოსებსა და ქართველებს შორის საბოლოოდ მოსპობს ინტეგრაციის საფუძველს. წავა ის თაობები, რომლებსაც ძველი და თბილი კავშირები ჰქონდა, მერე გაუცხოვდება მომავალი თაობები და საბოლოოდ ან ოსეთის რესპუბლიკასთან მოგვიწევს ურთიერთობა (შედარებით უკეთესი ვარიანტი), ან კიდევ რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც სამხრეთით ,,შემოგვიფართოვდება‟.

თუ პერევი მაინც შევინარჩუნეთ არსებულ საზღვრებში, კარგი იქნება. 220-ოდე კომლი თანდათან აბარგებას აპირებს სოფლიდან. კანტიკუნტად გამოჩენილი ხელისუფალი, ან ფოტოაპარატიანი ჟურნალისტი სოფლის შენარჩუნების საფუძველი რომ ვერ გახდება, ეს ცხადია. არავითარი განსაკუთრებული დოტაცია სოფელს არ აქვს. მისი იმ პირობებში ჩაყენება, როგორც ყველა დანარჩენი ქართული სოფლისა, არასწორია. პერევში არავის უკვირს დანგრეულ გზაზე მოძრაობა, არც იმის ილუზია აქვთ, რომ ერთ დროს მეცხოველეობაზე დაფუძნებული პერევის მოსახლეობის ეკონომიკას სხვა რამით წააშველებენ ხელს, ამიტომ მომავალი თაობა სოფელში გაჩერებას არ აპირებს. უმიწო გლეხი უფრთო ჩიტზე უფრო უმწეოა და საითაც საშველს დაინახავს, იქით წავა. მორალური მხარდაჭერის გარდა მატერიალური სახსრების მოძიებაც საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად დაიცლება საზღვრისპირა ბასტიონი-პერევი.

პირველი ასვლის დროს თვალში მომხვდა სოფლის ბიბლიოთეკა, რომელიც წიგნადი ფონდის სიმდიდრით ვერ დაიტრაბახებდა. ერთ პერეველს ,,იმედის გაგმირებით დავემუქრე‟ და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრების დაპირებით დავტოვე სოფელი. სამწუხაროდ, ,,საგმირე პერსონა‟ ჩაწერაზე არ დაეთანხმა ,,იმედს‟, ხოლო ბიბლიოთეკისათვის წიგნების მოგროვება ,,ფეისბუქით‟ შევძელი. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ თავის მხრივ 800 წიგნი გამოყო პერევისისთვის, მერე კომპიუტერის მიტანის აუცლებლობაც დადგა, რასაც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე დაჰპირდა კიდეც და 2 ნოემბერს აასრულა.

,,ჩემი ოჯახის კლინიკის‟ მენეჯერმა სოფლის ბიბლიოთეკას კომპიუტერი გადასცა საჩუქრად, თუმცა ელექტრონულ სინდიკატში მის ჩართვას ინტერნეტი სჭირდება. ამაზე უკვე მუნიციპალიტეტმა იზრუნოსო, დასძინა კეკელიძემ და ვნახოთ, პერევის ბიბლიოთეკას თუ ექნება ინტერნეტთან წვდომა...

შეიცვალა რამე თუ არა სოფელში ზაქარეიშვილის ვოიაჟის შემდეგ?–დავსვი კითხვა. არაფერიო, –უიმედო ხმით მიპასუხა პერეველმა ახალგაზრდა კაცმა. აკი მინისტრმა რიხიანად უთხრა მაშინ მოსახლეობას: გვახსოვს პერევი!

ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლების ორჯერადი აქციის გარდა ალბათ პერევისთვის არავის შეუწუხებია თავი. რას ვიზამთ, ჩვენ ხშირად გვავიწყდება ხოლმე, რომ საქართველო თბილისს იქითაც არსებობს...

## მაია ფანჯიკიძე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს მატეო მეკაჩის შეხვდა. შეხვედრაზე ძირითადად საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ისაუბრეს.

ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში მუშაობა უკვე დაასრულა. ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები მაღალ დონეზე შეფასდა როგორც ეუთო-ს, ასევე, სხვა დამკვირვებლების მხრიდან.

მისი თქმით, არჩევნებთან დაკავშირებით ეუთო მეორე, ვრცელ ანგარიშს იანვარში გამოაქვეყნებს. სრული ანგარიშის პრეზენტაცია საქართველოში გაიმართება.

საბოლოო ანგარიშის მომზადებამდე მატეო მეკაჩი არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირებულ პირებს, პარტიებისა და სხვა უწყებების წარმომადგენლებს შეხვდა.

ნიუსპრესი

## საფრანგეთის პრეზიდენტი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს

ახლადარჩეულ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ულოცავს.

როგორც მისალოც წერილში ოლანდი აღნიშნავს, იგი მზადაა საქართველოს ახალ პრეზიდენტთან ითანამშრომლოს, რათა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები გაღრმავდეს.

„ბატონო პრეზიდენტო, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიიღოთ, ჩემი და საფრანგეთის ერის გულწრფელი მილოცვა. მივესალმები არჩევნების ისეთ ვითარებაში ჩატარებას, რომელიც ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიშის თანახმად კონკურენტული და გამჭვირვალე იყო, რაც ხაზს უსვამს საქართველოს დემოკრატიულობასთან და კანონის უზენაესობასთან სიახლოვეს‟ — აღნიშნავს საფრანგეთის პრეზიდენტი.

ამასთან, იგი იმედოვნებს, რომ გიორგი მარგველაშვილს 29 ნოემბერს დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე შეხვდება, რომლითაც, მისი თქმით, ევროკავშირსა და საქართველოს თანამშრომლობის ახალი ეტაპი აღინიშნება.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანია საფრანგეთს ეწვევა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პირველი ოფიციალური ვიზიტით გუშინ საფრანგეთს ეწვია. როგორც „ნიუსპრესისთვის‟ საფრანგეთში საქართველოს საელჩოდან გახდა ცნობილი, ირაკლი ალასანია ფრანგ კოლეგას ჟან-ივ ლედრიანს შეხვდება.

საქართველოს და საფრანგეთის თავდაცვითი უწყების პირველი პირები ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის და სხვა აქტუალურ საკითხებზე იმსჯელებენ.

გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ალასანიას შეხვედრა სამხედრო სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებთან და თავდაცვის საკითხებში ფრანგ სპეციალისტებთან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ტრიუმფალური თაღის „ცეცხლის გაღვივების‟ ცერემონიასაც დაესწრება, რომელიც სამხედროებს ეძღვნებათ.

ნიუსპრესი

## ირაკლი სესიაშვილი:„თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჩემთან მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს‟

უმრავლესობის წევრის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, თავდაცვის მინისტრის პოსტზე მასთან მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს.

როგორც სესიაშვილმა „პრაიმტაიმის‟ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ახალი პრემიერის გადასაწყვეტია ვისთან გააგრძელებს ის მუშაობას.

,,მაგრამ მე კატეგორიულად გამოვრიცხავ რამე ცვლილებებს ამ მიმართულებით, რადგანაც ალასანია არის კარგი მინისტრი და ჩემთან ამაზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს,‟– განაცხადა სესიაშვილმა.

მედიანიუსი

## პარლამენტის თბილისში გადმოტანას კენჭს დეკემბრის დასაწყისში უყრიან

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით ბერძენიშვილმა სააგენტო „პირველის" პრესკლუბში განაცხადა, როცა საქმე საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება, საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის პოზიციების შეჯერება.

ბერძენიშვილის განმარტებით, ამ საკითხის გადადებაზე პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მოთხოვნით გამართულ აქცებს გავლენა არ მოუხდენია.

„პარლამენტს შეეძლო საკანონმდებლო ორგანოს თბილისში გადმოტანის გადაწყვეტილების 100 ხმით მიღება და ეს საპარლამენტო უმცირესობამაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ არის სიტუაციები, როცა უმჯობესია, გადაწყვეტილებები საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პოლიტიკურ ძალთა კონსენსუსის გზით იყოს მიღებული. მგონია, რომ უმცირესობაში მყოფ ადამიანებსაც აქვთ იმის მოლოდინი, რომ პარლამენტმა ძირითადად თბილისში იმუშავოს", - განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისივე თქმით, 17 ნოემბრის შემდეგ ახალი კონსტიტუცია ამუშავდება, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო ცვლიბებების მიღებას 113 დეპუტატის ხმა დასჭირდება.

,,შესაბამისად, კონსტიტუციაში ნებისმიერი ცვლილება მხოლოდ საკანონმდებლო უმცირესობის გარკვეული ნაწილის თანხმობით შევა. ამ საკითხს პარლამენტი ნოემბრის ბოლოს, ან დეკემბრის დასაწყისში დაუბრუნდება. პარალელურად თბილისში პარლამენტის შენობის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულება საგაზაფხულო სესიამდე მაინც ვერ მოესწრება", - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

პირველი

## გია ბურჯანაძე: „ნაციონალებს პოლიტიკაში მოღვაწეობა 10 წლით უნდა აეკრძალოთ‟

„ნაციონალური მოძრაობის‟ 9-წლიანი მმართველობის პერიოდი სახალხო კრების წევრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შეაფასა.

„წინა ხელისუფლებას 20-30-იანი წლების ბოლშევიკებს თუ შევადარებ, თორემ მე სხვაგან არ მეგულება მთავრობა, რომელსაც თავისი ხალხი ასე სძულს და საზოგადოება, რომელიც ასეთ მთავრობას 9 წელი აიტანდა. აუცილებელი არ არის ქვეყანაში მტერი ტანკებით შემოვიდეს და თავისი ჯარი დააყენოს, რომ ეს მოვლენა ოკუპაციად შევაფასოთ. „ნაციონალებიც‟ ოკუპანტები არიან, მათ საქართველოს სულიერი ოკუპაცია გაუკეთეს. სააკაშვილი უნდა გასამართლდეს და ყველას, ვინც ამ რეჟიმთან თანამშრომლობდა, თავისი სახელი უნდა დაერქვას. აუცილებელი არ არის ყველას ციხეში გაშვება, მორალური პასუხისმგებლობა მაინც უნდა დავაკისროთ და 5-10 წლით შევუზღუდოთ პოლიტიკაში მოღვაწეობის უფლება‟, — განაცხადა ბურჯანაძემ.

პირველი

## „ევრაზიულ კავშირში თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც თევზი წყალში‟

საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას თქმით, საქართველოს ევრაზიული კავშირის გარეშე არსებობა გაუჭირდება.

„მე ვფიქრობ, რომ ევრაზიული სივრცის გარეშე გაგვიჭირდება არსებობა, ერთი მთავარი მომენტის გამო. ეს არის ის, რასაც ჩვენი ისტორიის 20 წლის მანძილზე ვხედავ, რომ ევროპული სივრცე ჩვენ არ გვლებულობს და ვერ მიგვიღებს, რადგან პრობლემურ ქვეყანას ევროპა თავის ნაწილად ვერ აქცევს. იმედია, არ ეწყინება ევრაზიის სხვა წევრ ქვეყნებს, თუ ვიტყვი, რომ დღესაც რუსეთში ქართველი თავისი სოციალური სტატუსით ძალიან მაღლა დგას. ჩვენ მოსკოვშიც კი მაღალი სტატუსი გვიჭირავს. ევრაზიულ კავშირში თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც თევზი წყალში, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩვენ ევრაზიულ კავშირს შეგვიძლია ვანახოთ მაგალითი როგორია ცხოვრება ევროპული ღირებულებით. ევრაზიულ სივრცეში ვიქნებით მოწინავე ქვეყანა ხოლო ევროპულ სახელმწიფოთა შორის ჩამორჩენილი‟, — განაცხადა ხაბურძანიამ ტელეკომპანიის „იმედის‟ ეთერში.

პირველი

## ზვიად ძიძიგური პრეზიდენტისთვის შეწყალების უფლების შეზღუდვის წინააღმდეგია

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტისთვის შეწყალების უფლების შეზღუდვის თაობაზე ისაუბრა.

„ჩემი აზრით, კანონის გადახედვა იმის მიხედვით, თუ რას გააკეთებს მიხეილ სააკაშვილი არ არის საჭირო. მიუღებელია, ისეთი არაორდინარული პიროვნების გამო, როგორიც ისაა, კანონში შესწორების შეტანა და საერთოდ, შეუძლებელია, კანონში ჩაწერო, რომ პირველი პირი ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანოდ არ უნდა იქცეოდეს. თუმცა ჩვენ ამ თემაზე ვიმსჯელებთ და საბოლოო პოზიციას შემდეგ დავაფიქსირებთ‟, — განაცხადა ძიძიგურმა.

ნიუსპრესი

## ოპერის თეატრი ვერდის იუბილეს ზეიმობს

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი უდიდესი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილეს ზეიმობს, რომელიც წელს 10 ოქტომბერს შესრულდა. ჯუზეპე ფორტუნინო ფრანჩესკო XIX საუკუნის იტალიური ოპერის ყველაზე გავლენიანი ხელოვანად არის მიჩნეული. მისი ნამუშევრები ხშირად იდგმება მსოფლიოს ყველა საოპერო თეატრში.

– მისი პირველი ცდები კომპოზიციაში განეკუთვნება უვერტიურებს, მარშებს სასულე ორკესტრისთვის, საფორტეპიანო პიესებს. კომპოზიტორი სხვადასხვა დროს იყო ვერდის ქალაქის სასულე ორკესტრის დირიჟორი, ხელმძღვანელობდა ფილარმონიულ საზ-ბას ბუსეტოში. მისი პირველი ოპერა „ობერტო, გრაფი ბონიფაჩო“ მილანში დაიდგა, რომელიც საზოგადოებამ თბილად მიიღო. ოპერა „მეფე ერთი საათით ანუ ცრუსტანისლავის“ წარუმატებელი დადგმის შემდეგ კომპოზიტორმა ზედიზედ დაწერა ორი ოპერა „ნაბუკო“ ანუ „ნაბუქუდონოსორი“ და „ლომბარდიელები ჯვაროსნულ ლაშქრობაში“. ამ ოპერებს იტალიაში აღტაცებით შეხვდნენ, ხშირად წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა პოლიტიკური მანიფესტაციები. მთლიანობაში ვერდიმ ცამეტი ოპერა დაწერა, მათ შორის, „ერნანი“, „ატილა“, „მაკბეთი“, „ლუიზა მილერი“. მისი პატრიოტული სულისკვეთება გამოჩნდა ჰიმნში „იჟღერე, საყვირო“, ხოლო მას სახელი მოუხვეჭა 50-იან წლებში შექმნილმა ოპერებმა „რიგოლეტომ“, „ტრუბადურმა“ და „ტრავიატამ“. ამ ოპერებში რომანტიკული ტენდენციები ადგილს უთმობს მკაფიო რეალიზმსა და ღრმა ფსიქოლოგიზმს. კომპოზიტორის ყურადღების ცენტრში მოექცა უბრალო ადამიანების ბედი, სოციალური უთანასწორობა, წოდებრივი გადმონაშთები. პეტერბურგის მარინინის თეატრის დაკვეთით კომპოზიტორმა დაწერა ოპერა „ბედისწერის ძალა“. იგი ორჯერ ეწვია რუსეთს. პარიზის თეატრ „გრანდ ოპერასთვის“ მან შექმნა ოპერა „დონ კარლოსი“. ვერდი შემოქმედებაში საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი მშვენიერ ოპერად მიჩნეულია „აიდა“. შემდგომი 15 წელი ვერდის არ დაუწერია არც ერთი ოპერა. იტალიელი მწერლის მანძონის ხსოვნის აღსანიშნავად შექმნა „რეკვიემი“, რამდენიმე ვოკალური ნაწარმოები. სპეციალისტების მიერ მიჩნეულია, რომ რეალისტური ხელოვნების შედევრს და ფსიქოლოგიურ-მუსიკალური დრამის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს ოპერა „ოტელო“. ვერდის უკანასკნელი ოპერა „ფალსტაფი“ კი გონებამახვილური, კომიკური, იტალიური ოპერა-ბუფის ჟანრის ნაწარმოებია განახლებულ მუსიკალურ-დრამატულ საფუძველზე. კომპოზიტორმა მნიშვნელოვნად შეცვალა ტრადიციული იტალიური ოპერის ხასიათი და სტრუქტურა. სასიმღერო არიისა და დეკლამაციური პრინციპების შერწყმით მან შექმნა თავისი „შერეული“ ვოკალური სტილი, რომელიც საფუძვლად დაედო მონოლოგისა და დიალოგის თავისუფალ ფორმას ოპერაში. დრამატული განვითარების მნიშვნელოვან რგოლს ვერდისთან წარმოადგენს დიდი ვოკალური სცენები. ვერდის საუკეთესო ოპერებში მნიშვნელოვანი დრამატურგიული დატვირთვა ორკესტრს აწევს, თუმცა კომპოზიტორისთვის მთავარი მაინც ვოკალური საწყისის პრიორიტეტია. „ხმა და მელოდია ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მთავარი იქნება“ – ამბობდა ვერდი. მთლიანობაში მან დაწერა 26 ოპერა, კანტატები, ვოკალური ანსამბლები, რომანსები, სიმღერები, – ამბობენ ოპერის თეატრში.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, ვერდის 200 წლის იუბილე აღინიშნება საქართველოშიც. კონსერვატორიის დიდ დარბაზში 12 ნოემბერს გაიმართება საიუბილეო კონცერტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით. კონცერტს დავით მუქერია იდირიჟორებს. ჯუზეპე ვერდის საიუბილეო კონცერტზე იმღერებენ თეატრის სოლისტები ირინე ალექსიძე, მაყვალა ასპანიძე, სულხან გველესიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, კახაბერ თეთვაძე, როსტომ იაშვილი, ლეგი იმედაშვილი, ლიანა კალმახელიძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, მარიკა მაჩიტიძე, გია მახარაძე, ირინე რატიანი, მარიამ ქობალიანი. კონცერტის პროგრამაშია ნაწყვეტები ოპერებიდან „ნაბუკო“, „ატილა“, „მაკბეტი“, „ლუიზა მილერი“, რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „სიცილიური მწუხრი“, „ბალ-მასკარადი“, „დონ კარლოსი“, „აიდა“ და „ოტელო“.

# „კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება ვერავინ უნდა მოახერხოს!“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ თორნიკე ჭეიშვილთან

***– საქართველოს პარლამენტში აქტიურად განიხილება საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტებიც. მოდით, ამ თემით დავიწყოთ საუბარი, კონკრეტულად რა ცვლილებები იგეგმება?***

– რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ცვლილებები იქნება საკმაოდ მასშტაბური ანუ ეს არ იქნება კონსტიტუციის ნაწილობრივი გადასინჯვა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კონსტიტუცია გადაისინჯება ზოგადად. ეს კონსტიტუციური ტერმინია და გულისხმობს კონსტიტუციაში ძირეული ცვლილებების შეტანას. არ გამოვრიცხავთ, რომ ცვლილებები შეეხოს მმართველობის მოდელს და, პრინციპში, არის კიდეც გარკვეული მექანიზმები კონსტიტუციის მეოთხე პრიმა თავში დასახვეწი, რომელიც, შესაბამისად, არეგულირებს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსსა და სხვადასხვა უფლებამოსილებებს. აგრეთვე ჩვენი დიდი სურვილია, კონსტიტუციაში შევიდეს ნორმები, რომლებიც დაარეგულირებს ქვეყნის ტერიტორიულ ორგანიზაციას. ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხითაც ვფიქრობთ, რომ იქნება გარკვეული ცვლილებები. ერთი სიტყვით, საქართველო ემზადება საკმაოდ მასშტაბური საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ცვლილებები იქნება განმაპირობებელი იმისა, რომ სამომავლოდ კონსტიტუცია, ჩვენი ქვეყნის ძირითადი უზენაესი კანონი, იქნება სტაბილური და დღის წესრიგში არ დადგება რამდენიმე წლის შემდეგ

კონსტიტუციის ასეთი მასშტაბებით გადასინჯვის საკითხი. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოება, ქვეყნის თითოეული მოქალაქე, იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ამით იქნეს უზრუნველყოფილი იმ საკონსტიტუციო ცვლილებების ლეგიტიმაცია, რომელიც სულ რამდენიმე ხანში, დაახლოებით ერთ წელიწადში განხორციელდება და იქნება წარმოდგენილი.

***–ჩვენთან, როგორც წესი, ყოველი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იცვლება კონსტიტუციაც და ყველა ცდილობს, საკუთარ თავზე მოირგოს იგი. ალბათ, ეს მავნე ჩვევა როგორღაც უნდა ამოვიღოთ პრაქტიკიდან.***

– დიახ, გეთანხმებით. სწორედ საზოგადოების მონაწილეობაა იმის გარანტი, რომ ამა თუ იმ სახელისუფლებო გუნდს არ გაუჩნდეს სურვილი, კონსტიტუციაში შეიტანოს მისთვის მისაღები ცვლილებები. როდესაც კონსტიტუციას ექნება მისი უზენაესობა, ხალხის, საზოგადოების, ძალიან სერიოზული მხარდაჭერა და მხარდაჭერა ისე არ გაჩნდება, თუ ხალხმა თვითონ არ მიიღო ეს კონსტიტუცია, დამიჯერეთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა მოერიდება მასში მცირეოდენი ცვლილების შეტანასაც, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ეს იქნება სვლა ხალხის ნების წინააღმდეგ, იმიტომ რომ კონსტიტუცია სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ხელშეკრულება საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. კონსტიტუცია არის ქვეყნის სავიზიტო ბარათი, კონსტიტუცია არის საზოგადოების ერთგვარი სარკე და, აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ ძალიან დიდი როლი ითამაშოს მის შემუშავებასა და მიღებაში. ამის შემდეგ ვფიქრობთ, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნება ის ხშირი ცვლილებების თემა, რომელსაც აქამდე საქართველოში ჰქონდა ადგილი. 1995 წლის შემდეგ, როდესაც მიღებულ იქნა ქვეყნის მოქმედი კონსტიტუცია, მასში შევიდა, 2004 წელს ძალიან სერიოზული ცვლილებები, ფაქტობრივად, ის გადაისინჯა, შეიცვალა მმართველობის მოდელი და ასე შემდეგ. 2009-2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებშიც ასევე ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა მასში და დღესაც კვლავ ვდგავართ კონსტიტუციის გადასინჯვის საჭიროების წინაშე. მე არ ვამბობ იმას, რომ ეს გადასინჯვა აუცილებელი. ეს აუცილებელია, იმიტომ რომ დღეს ჩვენს კონსტიტუციაში არის გარკვეული ბუნდოვანი ნორმები, არის გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს დამატებით რეგულაციას. არის ისეთი საკითხები, რომლებიც დღეს საერთოდ არ არის კონსტიტუციაში რეგულირებული.

***– ჩაგეკითხებით, კონკრეტულად რაზე გამახვილდება ყურადღება?***

– ეს შეიძლება იყოს ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხი, იმიტომ რომ, დღევანდელი კონსტიტუციური ჩანაწერის მიხედვით, ჩვენ ამ შემთხვევაში ველოდებით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელებას. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს კონფლიქტები საკმაოდ მწვავეა, ტერიტორიები არის ოკუპირებული, შეიძლება სწორედაც გარკვეულწილად კონსტიტუციური რეგულაციები, იგივე ტერიტორიულ ერთეულებთან ცენტრალური ხელისუფლების მიმართებისა, გახდეს ერთგვარი წინ გადადგმული ნაბიჯი ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების საქმეში. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ და ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ სამომავლო საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შევეხოთ ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხსაც.

***–რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ამბობენ, რომ მისი უფლებამოსილებაც იზღუდება.***



– თუ იმ ცვლილებებზეა საუბარი, რომელიც ამჟამად არის ინიცირებული და ახლა განიხილავს პარლამენტი ამ საკითხებს, ამას ვერ დავარქმევთ, რომ ეს არის სერიოზული შეკვეცა პრემიერის უფლებამოსილებისა. არის გარკვეული მექანიზმები, მაგალითად, ეს არის ნდობის ნეგატიური ვოტუმი, როდესაც პრემიერს შეუძლია, კონკრეტულ კანონპროექტთან დაკავშირებით დააყენოს მთავრობის ნდობის საკითხი. აი, ეს მექანიზმი იქნება ამოღებული. იცით, ეს ყველაფერი, რაც ამჟამად ხორციელდება, ხორციელდება იმისათვის, რომ ურთიერთბალანსი იქნეს დაცული საკანონმდებლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. მე ამას ვერ დავარქმევდი, რომ ეს არის რაღაცა ძირეული ცვლილებები, იმიტომ რომ პრემიერის კონსტიტუციური სტატუსი, პრემიერის რიგი უფლებამოსილებები და ზოგადად მთავრობის უფლებამოსილებები კვლავ იქნება ხელუხლებელი.

***– რაც შეეხება პრეზიდენტს, საზოგადოებაში მიდის დავა იმასთან დაკავშირებით, რომ საკმაოდ შეკვეცილია პრეზიდენტის უფლებამოსილება. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– კი ბატონო, ამ შემთხვევაში მე აბსოლუტურად ვიზიარებ საზოგადოების აზრს, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები სერიოზულად შეიკვეცა. პრინციპში, ეს მოსალოდნელიც იყო, იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც საკონსტიტუციო რეფორმა მიმდინარეობდა, ჩვენ ავიღეთ გეზი ევროპული კონსტიტუციონალიზმისკენ და ევროპულ კონსტიტუციონალიზმში პრიმატი ენიჭება სწორედ საპარლამენტო მმართველობას. საპარლამენტო მმართველობისთვის დამახასიათებელია ის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი არ სარგებლობს ძლიერი კონსტიტუციური ბერკეტებით, მექანიზმებით, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო შტოების მიმართ. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პრეზიდენტი კვლავ რჩება საქართველოს სახელმწიფო მეთაურად. თუმცა პრეზიდენტი ველარ წარმართავს და ველარ ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ეს კონსტიტუციური ჩანაწერი, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ახდენდა მისი, როგორც ერთპიროვნული, გამოკვეთილი ლიდერის, გამოკვეთილი მმართველის ლეგიტიმაციას.

***– თუმცა საზოგადოებაში არსებობს დავა იმის თაობაზე, რომ რადგან პრეზიდენტი კვლავაც ხალხის რჩეულია და არ მოხდა მისი არჩევა პარლამენტის მიერ, მაგალითად, როგორც ეს გერმანიაში ხდება. მას ამჟამად გაცილებით მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს, რადგან ის ქართველმა ხალხმა აირჩია და თუ დამკვიდრდება ეს ტენდენცია, რომ შემდეგ არჩევნებზე პარლამენტის მიერ მოხდეს პრეზიდენტის არჩევა?***

– თქვენ ახსენეთ გერმანიის მაგალითი, გერმანიაში ასეთი სიტუაცია გვაქვს: იქ პრეზიდენტს ირჩევს ფედერალური კრება. რაც შეეხება ზოგადად საპარლამენტო მოდელისთვის დამახასიათებელ სიტუაციას, დიახ, იქ ძირითადად პრეზიდენტს ირჩევს ქვეყნის წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო. როდესაც საქართველოში პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით, ეს ნიშნავს, რომ მას აქვს ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია. შესაბამისად, ის შეკვეცილი უფლებამოსილებები, რომლებიც დღეს პრეზიდენტს დარჩა და მეორე მხრივ მისი ლეგიტიმაციის ხარისხი, ვფიქრობ, ურთიერთშეუსაბამოა ანუ ამ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა და ეს ჩემი პირადი სუბიექტური ხედვაა, რომ პრეზიდენტს ჩვენ ვირჩევდეთ ირიბი წესით ანუ პრეზიდენტს ირჩევდეს პარლამენტი. იმიტომ რომ როდესაც პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით, ის ყალიბდება ძალიან ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად. მას უჩნდება ძალიან სერიოზული და ჯანსაღი ამბიციები და საზოგადოებაშიც აღიქმება პრეზიდენტი, როგორც კვლავ ერთგვარი ლიდერი. ცნობის სახით გეტყვით, რომ ჩვენ დაახლოებით თვე-ნახევრის, ორი თვის განმავლობაში, პროექტის „ახალგაზრდები კონსტიტუციური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში, რომელიც არის ჩვენი ასოციაციის პროექტი და ხორციელდება ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, გვქონდა შეხვედრები საქართველოს რეგიონებში. საერთო ჯამში, გაიმართა რვა შეხვედრა რეგიონულ დონეზე, საზოგადოებრივ წარმომადგენლებთან და ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა. ხალხი აცნობიერებს, რომ ისეთი ძლიერი უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტი, როგორიც აქამდე იყო, აღარ უნდა, აღარ მიესალმება ამას საზოგადოება, ასეთ ერთპიროვნულ მმართველს.

***– იმიტომ, რომ ამის მწარე გამოცდილება აქვს ჩვენს საზოგადოებას.***

– დიახ, მწარე გამოცდილებაა ამასთან დაკავშირებით, თუმცა გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კვლავ უნდათ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა. საზოგადოება ფიქრობს, რომ გადამწყვეტ მომენტში ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთი კონკრეტული ფიგურა, რომელსაც ექნება იმის ლეგიტიმაცია ხალხისგან, რომ რაღაც კრიზისულ ვითარებაში გადადგას ქმედითი ნაბიჯები. მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის გარკვეული საფრთხის მატარებელი, იმიტომ რომ ასეთი პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, რომ მას აღარ აქვს ბევრი უფლებამოსილება, შეკვეცილია მისი კონსტიტუციური ბერკეტები, შეიძლება, წავიდეს სხვა გზით ანუ გაუჩნდეს ამბიციები და მაინც შეეცადოს, თავის თავზე მოირგოს კონსტიტუციაც ან, მაგალითად, დე იურე განახორციელოს სხვადასხვა უფლებამოსილებები, რომლებიც მას კონსტიტუციით არა აქვს მინიჭებული, თუმცა ახლა, მეორე მხრივ თუ გადავხედავთ მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას, რამდენიმე საპარლამენტო მმართველობის ქვეყნისთვის არც ის არის უცხო, რომ პრეზიდენტს ირჩევდნენ პირდაპირი წესით. ასეთია, მაგალითად, ავსტრია, ბულგარეთი... უბრალოდ, საქართველოს გამოცდილებითა და იმ ისტორიული ფაქტების მიხედვით, მე ვფიქრობ, უპრიანი იქნება, მმართველობის საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში, პრეზიდენტი ავირჩიოთ ირიბი წესით. პრეზიდენტს ქართველი ხალხი ყოველთვის ირჩევს თავისი ქარიზმიდან, სხვადასხვა პოლიტიკური განცხადებიდან გამომდინარე და ასეთი ქარიზმატული ლიდერი შეუსაბამოა დღევანდელი პრეზიდენტის პოსტისთვის.

ჩვენ ამ პროექტის ფარგლებში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, „ახალგაზრდები კონსტიტუციური ცვლილებებისთვის“, ძალიან ბევრი საინტერესო პოზიცია მოვისმინეთ, ძალიან ბევრ საკითხზე ვიმსჯელეთ, მათ შორის იყო ის საკითხები, რომლებსაც შეეხება უახლოეს მომავალში დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებები და რეფორმა. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში, დაახლოებით ორ-სამ კვირაში, უკვე მზად გვექნება სარეკომენდაციო დოკუმენტი, რომელსაც წარვუდგენთ როგორც საქართელოს პარლამენტს, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარეს, ასევე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას.

***– იმედია, ამ ყველაფერს გაითვალისწინებენ.***

– ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს. აქამდე ძალიან სერიოზულ პრობლემს წარმოადგენდა ის, რომ მთლიანად საზოგადოებისა და მათ შორის ახალგაზრდების როლი საკონსტიტუციო რეფორმებში არც ისე გამოკვეთილი იყო. ეს ყოველთვის იყო ვიწრო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი და არ ხდებოდა საზოგადოების აზრის გათვალისწინება. ჩვენი პროექტის მიზანიც ის არის, რომ ამთავითვე დავიწყოთ ზრუნვა იმაზე, რომ ახალგაზრდები, საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს მომავალში დაგეგმილ კონსტიტუციურ რეფორმაში. ისევ და ისევ ეს იქნება კარგი ჩვენი, ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარებისთვის. ამ შემთხვევაში სწორედ საზოგადოება დადგება კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე და ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ველარ მოახერხებს იმას, რომ თავის თავზე მოირგოს კონსტიტუცია.

***– საუბრის ბოლოს მინდა გკითხოთ, რა აზრის ხართ საკონსტიტუციო მონარქიაზე, რომელზეც ბოლო პერიოდში აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს?***

– სხვათა შორის, ძალიან საინტერესო თემაა. ერთ-ერთ შეხვედრაზე, რეგიონებში როცა გახლდით, სანამ ეს საუბრები დაიწყებოდა, სწორედ მე გავანდე იქ დამსწრე საზოგადოებას ჩემი გულწრფელი სურვილი. შეიძლება, ამ გადმოსახედიდან ცოტა უტოპიურად ჩანდეს, მაგრამ მეც, პრინციპში, გულის სიღრმეში მივესალმები საქართველოში კონსტიტუციურ მონარქიას. სხვათა შორის, იცით, რა არის? თუ ჩვენ ამ საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ გადავალთ საპარლამენტო, ოღონდ სუფთა საპარლამენტო მმართველობის მოდელზე, იმიტომ რომ დღევანდელი, ახალი რედაქციით, რომელიც სულ რამდენიმე დღეში შევა ძალაში, ჩვენ მაინც შერეული ტიპის მმართველობის მოდელი გვექნება. ეს, მართალია, იქნება ნახევრად საპარლამენტო, გამოკვეთილი იქნება საპარლამენტო მმართველობისთვის დამახასიათებელი ელემენტები, მაგრამ მაინც ეს არ არის სუფთა საპარლამენტო მმართველობა, სწორედ ერთი ნაბიჯია დარჩენილი საპარლამენტო მმართველობიდან კონსტიტუციურ მონარქიამდე. კონსტიტუციურ მონარქიასაც ხანდახან უწოდებენ იმავე საპარლამენტო მონარქიას. იმ შემთხვევაში, პრეზიდენტი, რომელიც სარგებლობს გარკვეული რიტუალური უფლებამოსილებებით და მონარქი, სერიოზულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან კომპეტენციებით. როგორც ხედავთ, რაღაცა გარკვეული საფუძველიც იქმნება იმისთვის, რომ ეს ყველაფერი აღდგეს. აქედან გამომდინარე, ერთ და ორ წელიწადში არა, მაგრამ პერსპექტივაში – რატომაც არა, მით უმეტეს, თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, სავსებით რეალურია და ბუნებრივიც არის, რომ საქართველოში დამკვიდრდეს კონსტიტუციური მონარქია. მე ამას მივესალმები.

# გურამ ოდიშარია ოპერაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს გაეცნო



ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ოპერის თეატრს ესტუმრა. 2010 წელს დაწყებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ, მინისტრის ინიციატივით, პირველად გაიხსნა საოპერო თეატრის კარი. გურამ ოდიშარია ადგილზე გაეცნო და შეაფასა უკვე დასრულებული და ასევე მიმდინარე სამუშაო პროცესი. კულტურის სამინისტროს პირველ პირს მასპინძლობას ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი გიორგი ჟორდანია უწევდა.

გურამ ოდიშარიამ დაათვალიერა სცენის შიდა სივრცე, საორკესტრო ორმო, მთავარი დარბაზი, ლოჟები, უკვე დასრულებული სარეპეტიციო დარბაზი, საგამოფენო სივრცე. მინისტრთან ერთად მიმდინარე სამუშაოებს მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიც ეცნობოდა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის გარემონტებული თეატრის გახსნა 2014 წლის 3 ოქტომბრისთვის სპექტაკლ „აბესალომ და ეთერით“ არის დაგეგმილი, მარტში კი ოპერის თეატრში რეპეტიციები დაიწყება.

ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ჟორდანიამ განაცხადა:

– აქ მოხდა არსებული ინტერიერის სრულად შენარჩუნება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რამდენიმე სივრცე დაემატა, მათ შორის ახალი სარეპეტიციო დარბაზი, სადაც ასევე შესაძლებელი იქნება კამერული ღონისძიებების გამართვა და ტერასები, რომლებიც საგამოფენო სივრცეებად იქნება გამოყენებული. თეატრში მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს და ველოდებით, რომ მარტში ეს მშენებლობა დასრულდება, რის შემდეგაც უკვე დასი შემოვა და დაიწყება რეპეტიციები განსაზღვრული ვადით. ყველაფერი შენარჩუნებულია დარბაზი, ფოიე, ცვლილება არ იგრძნობა, ყველაფერი ძველია, თუმცა ხარისხობრივად არის გაუმჯობესებული და თეატრი გამაგრებულია. 2014 წლის 3 ოქტომბერს, ტრადიციულად, „აბესალომ და ეთერით“ გაიხსნება ახლად გარემონტებული ოპერისა და ბალეტის თეატრი. ტრადიციულად ამ სპექტაკლით იხსნება ხოლმე ოპერისა და ბალეტის თეატრის სეზონი და ტრადიციის დარღვევა არც ამჯერად გვინდა. მშენებლობის მიმდინარეობის ტემპით კმაყოფილი ვართ.

კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია:

– აღფრთოვანებული ვარ, ოპერისა და ბალეტის თეატრში შესანიშნავად მიმდინარეობს რემონტი და რეაბილიტაცია. ვნახეთ ახალი სივრცე, რომელიც დაემატა თეატრს, ახალი კონსტრუქციით არის აღდგენილი, აქ არის დიდებული ვერანდა, რომელიც აქამდე არ გვქონდა, არის სამუზეუმო სივრცეც. საოცარი იუველირული ოსტატობით არის აღდგენილი შენობის თითოეული დეტალი. ყველაფერი დაწვრილებით ამიხსნეს და მიხარია, რომ ეს შენობა გაცოცხლდება. ეს არ არის მხოლოდ შენობა ჩვენთვის, ეს არის შენობა, რომლითაც ამაყობდა და ამაყობს მთელი საქართველო. ეს არის სახე და ერთგვარი ემბლემა თბილისის, სადაც ძალიან ბევრი ხელოვანია გაზრდილი. ოსტატურად არის ყველაფერი აღდგენილი და როგორც არის განსაზღვრული მარტისთვეში აქ უკვე შემოვა დასი, ხოლო მომდევნო წლის ოქტომბერში გაიხსნება ახლად გარემონტებული ოპერისა და ბალეტის თეატრი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მსოფლიო საოპერო ფესტივალები ამ თეატრში ჩატარდეს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სარემონტო სამუშაოები 2010 წლის იანვარში დაიწყო. ამჟამად მიმდინარეობს შენობის მოპირკეთება ქვითა და მარმარილოთი. უკვე დასრულებულია საგრიმიორო და ორკესტრის ოთახები, ასევე დიდი სარეპეტიციო დარბაზი. ოპერისა და ბალეტის თეატრის სარემონტო სამუშაოების დასრულება 2014 წლის ოქტომბრისთვის იგეგმება.

კულტურის მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა და თურქეთში ვიზიტი შეაჯამა. გურამ ოდიშარია თურქეთში აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესში იღებდა მონაწილეობას. ამ ვიზიტის ფარგლებში მან თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრთან ომერ ჩელიქთან შეხვედრაც გამართა.

მინისტრი სტამბოლში აბრეშუმის გზის კონგრესზე მოხსენებით წარდგა და ხაზი გაუსვა აბრეშუმის გზის ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობას და საქართველოს როლს ამ კონტექსტში; მინისტრმა ისაუბრა ახლო, კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ მასპინძელ თურქეთთან და იმ წარმატებულ თანამშრომლობაზე, რომელიც შედგა ამ ორ ქვეყანას ზიარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით; მან მადლობა გადაუხადა კოლეგა მინისტრს, ომერ ჩელიქს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის, ძეგლებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების გადაჭრის მხრივ.

ვიზიტის ფარგლებში, გურამ ოდიშარია პირველად შეხვდა პირისპირ თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს ომერ ჩელიქს არაერთი სატელეფონო კავშირისა და მოლაპარაკების შემდეგ. მხარეებმა ისაუბრეს არა მარტო ზიარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკითხების, არამედ კულტურის სხვა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობას, აღინიშნა როგორც ქართველი, ისე თურქი სპეციალისტების ჩართულობისა და გამოცდილების გაზიარების აუცილებლობის საკითხი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში.

– მქონდა საუბარი ჩემს თურქ კოლეგასთან ბატონ ომერ ჩელიქთან და მას გადავუხადე მადლობა იმისთვის, რომ აქამდე თურქულ მხარესთან ასეთი მოლაპარაკებები არ გვქონია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელშეკრულება სამთავრობო არ არის ხელმოწერილი და თვეების განმავლობაში გაჩერებული იყო პრეზიდენტთან. გამოვთქვით იმედი, რომ ამ ხელშეკრულებას ახალი პრეზიდენტი მოაწერს ხელს, შემდეგ განიხილავს თურქული მხარე და ასეთი ურთიერთობით კიდევ უფრო წინ წავწევთ ჩვენს ერთობლივ მუშაობას. ბოლო, შემაჯამებელი ექსპედიცია იშხანზე დეკემბრის ბოლოს ჩავა და ეს იქნება ბოლო ჩასვლა. მჯერა, რომ ორივე მხარის კეთილგანწყობით ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება. საუბარი შეეხო იმ საკითხსაც, რომ განვითარებად ეკონომიკას ჩვენ დროულად უნდა შევაშველოთ კულტურა და კულტურული ურთიერთობები. თუ ჩვენ პრიორიტეტებში გვქონდა ევროპული ქვეყნებისკენ სვლა, ახლა უკვე აღმოსავლური ქვეყნებისკენ გვექნება სწრაფვა, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

სტრასბურგში, ევროსაბჭოს შენობაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის „ხელოვნება მშვიდობისათვის“ ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ექსპოზიციაში მონაწილეობას იღებდნენ 13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები საქართველოს რეგიონებიდან, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან. პროექტის მონაწილე ხელოვანები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილმა ჟიურიმ ორ ნომინაციაში, „ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ნამუშევრები“ და „მშვიდობის მზე“ შეარჩია. პროექტი „ხელოვნება მშვიდობისთვის“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთან ერთად განხორციელდა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, პროექტის „საქართველოს მომავლის ვარსკვლავები“ ფარგლებში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. საღამოზე ახალგაზრდა მუსიკოსმა ვიოლონჩელისტმა ლიზი რამიშვილმა (საქართველო) და მევიოლინემ ელისო გოგიბედაშვილმა (ავსტრია) თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით დაუკრეს. ორკესტრს მაესტრო რობერტ ბოკორი (შვეიცარია) დირიჟორობდა.

კლასიკური მუსიკის კონცერტზე დასწრების სურვილი გამოთქვეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, მინისტრის მოადგილემ ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და მიწვეულმა სტუმრებმა.

პროექტის „საქართველოს მომავლის ვარსკვლავები“ მიზანია კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და საქართველოს ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები, განსაკუთრებულად ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსების ერთობლივი მიღწევების მხარდაჭერა. კონცერტზე შესრულდა შუბერტის როსამუნდე, ელგარის კონცერტი ვიოლონჩელოსათვის და ორკესტრისათვის, სიბელიუსის კონცერტი ვიოლინოსთვის და ორკესტრისათვის.

კულტურის მინისტრის ინიციატივით რეგიონებში გაცვლითი პროექტი ამოქმედდა, ამჯერად ოზურგეთის მუსიკოსები დმანისს კონცერტით ესტუმრებიან. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართება დმანისისა და ოზურგეთის შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლითი კონცერტი. ოზურგეთის მუსიკოსებს დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი უმასპინძლებს, პროექტის „ჩემი საქართველო აქ არის“ ფარგლებში.

პროექტი „ჩემი საქართველო აქ არის“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ინიციატივით „რეგიონებში კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერისა და წახალისების პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება. მისი მიზანია რეგიონებს შორის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების ურთიერთგაცნობა, დამეგობრება და გამოცდილების გაზიარება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ოზურგეთის მუსიკალური სკოლის ქართულ-ხალხურ საკრავთა ანსამბლი, გოგონათა გუნდი და მუნიციპალიტეტში არსებული ქართულ-ხალხური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“.

ღონისძიებას დაესწრებიან როგორც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და სხვა მიწვეული სტუმრები.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის პროდუქტებით უოპერაციოდ ვმკურნალობთ მასტოპათიას, საკვერცხის კისტას, მიომას, ბუასილს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, კვანძოვან ჩიყვს, ნაღვლის ბუშტისა და თირკმლის კენჭოვან დაავადებებს, ნევროზს, კოლიტს, დისბაქტერიოზს, დიაბეტს, ეპილეფსიას, ენურეზს. ტელ: 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● მთლიანი ორგანიზმის ფუნქციონალური დიაგნოსტიკა, დგინდება ორგანიზმში პათოლოგიური პროცესების არსებობა, ასევე სიმსივნის ადრეული სტადიები, შემდეგ ინიშნება მკურნალობა მცენარეული პრეპარატებითა და ფუტკრის პროდუქტებით. 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ძალოვანთა დერბი არმიელებმა მოიგეს

## დინამო – ბათუმი 95:93

(26:20; 25:27; 17:25; 27:21)

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა დაძაბულ და საინტერესო მატჩში „ბათუმი" დაამარცხეს. ყველაფერი ბოლო წამებზე გაირკვა და საბოლოოდ თბილისელებმა 2 ქულის სხვაობით – 95:93 გაიმარჯვეს.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ შეხვედრის გადამწყვეტ მეოთხედში „ბათუმი" სოლიდურ უპირატესობას ფლობდა და გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ დინამოელთა შეუპოვრობამ თავისი გაიტანა.

ბათუმელებმა, რომლებიც პირველ მეოთხედში 10 ქულით ჩამორჩებოდნენ და მთელი მეორე პერიოდიც მდევრის როლში იყვნენ, მესამე ათწუთეულში თავისი თამაში იპოვეს. ეს ძირთადად ბათუმელთა ლეგიონრებზე ითქმის, რომელთა ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე ზღვისპირულმა გუნდმა მესამე მეოთხედი 25:17 მოიგო და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 4 ქულით დაწინაურდა – 72:68.

მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა ბათუმელებმა 2-წუთიანი შესვენების შემდეგ წარმატებული თამაში განაგრძეს და თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 8 ქულით დაწინაურდნენ – 88:80. „დინამო" წაგების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა გიორგი გამყრელიძის, ქიან კარტერის, სტევან მილოშევიჩის შედეგიანი თამაშის წყალობით ჯერ ჩამორჩენის შემცირება შეძლეს, ბოლო წუთზე კი გამყრელიძის ორქულიანით 95:93 დაწინაურდნენ.

ბათუმელებს თამაშის გადასარჩენად 1 წუთი ჰქონდათ, მაგრამ წარმატების მიღწევა ვერ მოახერხეს. ჯუნიორ კადუგანმა ბოლო შეტევაში ბურთი ათამაშა, მაგრამ დინამოელთა მწყობრ დაცვაში სუსტი წერტილი ვერ იპოვა და მოუმზადებლად ნასროლი ბურთი ააცილა.

გამარჯვებულ დინამოელებს 27 ქულით ქიან კარტერმა ულიდერა, 18 ქულა და 17 მოხსნა ჰქონდა მეორე ლეგიონერ სტევან მილოშევიჩს, გამყრელიძემ კი შეხვედრა 18 ქულითა და 9 პასით დაასრულა. ბათუმელთა შორის ტრადიციულად ლეგიონრები გამოირჩეოდნენ – ჯერემი სეფოლდი 28 ქულა, ჯუნიორ კადუგანი – 26, ჯიმი ჯექსონი – 18.

*მატჩის შემდეგ*

**ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– როგორც მატჩის წინ ვთქვი, არ ვართ მზად სრულყოფილი თამაშისთვის. ეს თუნდაც იმაში გამოჩნდა, რომ სოხუმი და ბათუმი განსხვავებულ კალათბურთს თამაშობს, ბათუმის მწვრთნელმა გადაწყვიტა, სწრაფი თამაში შემოეთავაზებინა, ერთი ერთზე დარჩენილიყვნენ, რაც კარგად გამოუვიდათ.



სოხუმის წინააღმდეგ სხვა დაცვა ვითამაშეთ, დღეს უფრო შეგვექმნა პრობლემები. ამიტომ გვჭირდება თამაშები, რომ გავაანალიზოთ შეცდომები და ვფიქრობ, გვაქვს რესურსი, რომ მოვუმატოთ. ვიცით, რაში გვქონდა პრობლემები. ბათუმი ძალიან კარგი გუნდია და ძლიერი მწრვთნელი ჰყავს, მათთან თამაში ყველასთვის რთულია.

**მიხეილ კობეშავიძე, ბათუმის მთავარი მწვრთნელი:**

– ვულოცავ „დინამოს" გამარჯვებას, დიდ პატივს ვცემ ამ გუნდს და ირაკლის. სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს, დაწყნარებულ გულზე გავაანალიზებთ თამაშს. ბევრი შეცდომა დავუშვით დაცვაში, მოხსნებშიც მოგვიგეს. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. თუმცა თამაში პატარა ნიუანსებისგან შედგება და ამ ნიუანსებმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**სტევან მილოშევიჩი:**

– პირველ რიგში, მადლობა „ბათუმს" კარგი თამაშისთვის. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. დრო გვაქვს, რომ გავაანალიზოთ ის შეცდომები, რომელიც დაცვაში დავუშვით. პირველი მეოთხედი ძალიან კარგად ჩავატარეთ, შემდეგ კი ხარვეზები გვქონდა. თუმცა მთავარია, რომ მოვიგეთ და იმედია, ასე გავაგრძელებთ.

**ნიკა რამიშვილი:**

– ვულოცავ „დინამოს" გამარჯვებას. დაძაბული თამაში იყო, ორივე გუნდს თანაბარი შანსები ჰქონდა მოგების. ბევრი შეცოდმა დავუშვით დაცვაში, ძალიან ცოტა მოხსნა გვქონდა მეტოქესთან შედარებით და ბოლო პერიოდში დაცვაში ხარვეზებმა წაგვაგებინა. იმედია, გამოვასწორებთ შეცდომებს.

## არმია – შსს 70:55

(14:12; 17:12; 15:13; 24:18)

ბოლო წლების მანძილზე არმია-შსს-ს დაპირისპირება ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დერბად ჩამოყალიბდა. ძალოვან სამინისტროთა გუნდები ყოველთვის ამბიციურები იყვნენ და მათი დაპირისპირება მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. მე-3 ტურის ბოლო მატჩში „არმია" და „შსს-აკადემია" ერთმანეთის პირისპირ წარდგენ.

შეხვედრის პირველი ტაიმი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, თუმცა მეორე ნახევარში არმიელებმა საკუთარი თამაში იპოვეს და სოლიდური უპირატესობის მოპოვებით შეხვედრას ინტრიგა დაუკარგეს.

პირველი მეოთხედი ქულა-ქულაში წარიმართა და „არმიის" 2-ქულიანი გამარჯვებით – 14:12 დასრულდა. არც მეორე მეოთხედში დაუთმეს შსს-ელებმა მეტოქეს არაფერი, თუმცა არმიელები მცირე უპირატესობას მაინც ფლობდნენ. კოკა ტომარაძის შორი სროლებით შსს დიდი შესვენებისთვის მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩებოდა. მესამე პერიოდიდან კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა არმიელებმა უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდეს და თან საგრძნობ სათამაშო უპირატესობას დაეპატრონენ.

საბოლოოდ, თამაში ისე დამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა. „არმიამ" შეხვედრა 15 ქულის სხვაობით - 70:55 მოიგო და „ქუთაისთან" ერთას სუპერლიგის ცხრილის სათავეში გამაგრდა.

არმიელებს 16 ქულით ბუბა კვიმსაძემ ულიდერა, 15 ქულა და ამდენივე მოხსნა ჰქონდა გიორგი შარაბიძეს, მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა. აკადემიელთაგან ათქულიანი ზღვარი მხოლოდ ტომარაძემ დაძლია, რომელმაც 16 ქულა მოაგროვა.

*მატჩის შემდეგ*

**კოტე ტუღუში, არმიის მთავარი მწვრთნელი:**

– საინტერესო შეხვედრა გამოვიდა, ჩვენ გუნდებს შორის ყოველთვის დაძაბული და კარგი თამაში გამოდის. წელს ორივე გუნდი განახლებული შემადგენლობით ვასპარეზობთ და დარწმუნებული ვარ, ორივე გუნდისთვის საინტერესო ჩემპიონატი იქნება. ასეთი თამაშები გამოგვადგება მომავალი შეხვედრებისთვის მოსამზადებლად. მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს, არაჩვეულებრივად ითამაშეს. დღეს ჩვენი უპირატესობა სიმაღლე და შიგნიდან თამაში იყო. მადლობას ვეტყვი მოწინააღმდეგე გუნდს და მომავალში წარმატებებს ვუსურვებ.

**დრაგან პეტრიჩევიჩი, შსს აკადემიის მთავარი მწვრთნელი:**

– პირველ რიგში, ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას, ბევრი შეცდომა დავუშვით, თუმცა „არმიას" ვერ დავუკარგავ ძალიან კარგ თამაშს. გვაქვს სურვილები და გვაქვს მონდომება, თუმცა სურვილებს და შესაძლებლობებს შორის ჩვენი გუნდისთვის ამ ეტაპზე დიდი სხვაობაა. გამამართლებელ მიზეზად არ მოვიყვან გუნდის ახალგაზრდულობას, თუმცა ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ საშუალო ასაკი 21-22 წელია და გვყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც შარშან თავიანთ გუნდებში სერიოზული როლი არ ჰქონიათ. ბიჭებს არაფერში ვადანაშაულებ, თუ ვინმეს დღეს მეტი მოლოდინი ჰქონდა ამ გუნდისგან, პასუხი მე უნდა მომთხოვოს. ვაფასებ მათ შრომას და მუშაობას და ვულოცავ, რომ დღითიდღე უფრო უმატებენ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რამდენიმე მოთამაშე 20-წლამდელთა გუნდშიცაა. რაც შეეხება მოწინააღმდეგეს, დუდუ დადიანის მემორიალის შემდეგ აღვნიშნე, რომ არმია აუცილებლად უკეთეს თამაშს შემოგვთავაზებდა, მათ ჰყავთ მინიმუმ 12 მოთამაშე, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ კარგი თამაში. დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი წელს სერიოზულ შედეგებს მიაღწევს, ჩვენ კი ნელ-ნელა მოვუმატებთ და უკეთეს თამაშს შევთავაზებთ მეტოქეებსაც და მაყურებელსაც.

**გიორგი ჯგერენაია:**

– მოგეხსენებათ, წელს საკმაოდ შეცვლილი შემადგენლობა გვყავს, ვცდილობთ თამაშიდან თამაშამდე შევიკრათ და მოვუმატოთ იმ კომპონენტებში, რომლებშიც გვიჭირს. დღეს საკმაოდ კარგი დაცვა ვითამაშეთ და შიგნიდან ბევრი ქულა ჩავაგდეთ, ეს ანგარიშზეც აისახა. შსს აკადემია საკმაოდ ახალგაზრდა და კარგი გუნდია, ეტყობათ უცხოელი მწვრთნელის ხელი და ვფიქრობ, კიდევ უფრო მოუმატებენ.

**რეზო როგავა:**

– ვულოცავ „არმიას" გამარჯვებას, ძალიან კარგი გუნდია, კარგი მწვრთნელი ჰყავთ და გამოცდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ეტყობოდათ, რომ დღევანდელი თამაშისთვის კარგად იყვნენ მომზადებულები. ნამდვილად ვერ ვითამაშეთ ის თამაში, რომლის მოლოდინიც გვქონდა, ბევრი შეცდომა დავუშვით როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. თუმცა ახალგარდა გუნდი ვართ, ვცდილობთ ყოველ თამაშზე პროგრესი განვიცადოთ და ვეცდებით მეტოქეებს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 3 | 3 | 0298:193 6 |
| 2.არმია | 3 | 3 | 0217:166 6 |
| 3.დინამო | 2 | 2 | 0165:156 4 |
| 4.ბათუმი | 3 | 1 | 2259:252 4 |
| 5.სოხუმი | 3 | 1 | 2198:196 4 |
| 6.ოლიმპი | 2 | 1 | 1182:164 3 |
| 7.შსს | 2 | 1 | 1142:153 3 |
| 8.რუსთავი | 3 | 0 | 3162:254 3 |
| 9.მაკაბი | 3 | 0 | 3211:300 3 |

# ტორპედომ წაგებებს მოუხშირა



## ტორპედო – ჩიხურა 1:2

ქუთაისი. ცენტრალური

1:0 ხიდეშელი (34), 1:1 გაბედავა (41), 1:2 ტატანაშვილი (72)

**ტორპედო**: ქვილითაია, ცინცაძე, გიგაური (მზევაშვილი 75), საბანაძე, კუხიანიძე, ფანცულაია, ხიდეშელი (სანდოხაძე 46), მთივლიშვილი, კაპანაძე (ახვლედიანი 61), ზ.ჭელიძე, უბილავა

**ჩიხურა**: სომხიშვილი, ჯილაური (ქიმაძე 78), გაბედავა, წინამძღრიშვილი (ტატანაშვილი 23), ლომაშვილი, გ.დათუნაიშვილი, ბეჭვაია, შ.კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე (ლ.ჭელიძე 90), რეხვიაშვილი

„ტორპედომ" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და ეს მოსალოდნელიც იყო. ახალგაზრდული გუნდი ვერ უძლებს იმ სიჩქარეებს, რომელიც უმაღლეს ლიგას სჭირდება, ვერც დიდი გამოცდილებით დაიკვეხნიან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, ექვსეულში მოხვედრაც კი სათუო გაუხდეთ.

მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას საჩხერლები ფლობდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ზემოიმერლები სახიფათო მომენტებს ზედიზედ ჰქმნიდნენ. ჯილაურმა კარს ააცილა ბურთი, გაბედავამ ძელს გაატყა, ლომაშვილის დარტყმული კი მეკარემ მოიგერია. აი, წინამძღვრიშვილმა როგორ მოახერხა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთის ვერგატანა, ეს მხოლოდ მან იცის.

საჩხერელთა ფორვარდისთვის უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა – 23-ე წუთზე ხიდეშელთან ბურთისთვის ბრძოლაში დაშავდა (მხარი ამოუვარდა) და სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მალევე სტუმრებს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა დეკანოიძემ ქვილითაიას ვერ აჯობა.

ტორპედოელთა საპასუხო შეტევა შედეგიანი გამოდგა. 34-ე წუთზე ქუთათურებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს. სტანდარტულის გათამაშების შემდეგ გიგაურმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ბურთს ხიდეშელი დაუხვდა, რომელმაც მეტოქის მცველებს დაასწრო და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა – 1:0.

მატჩი საჩხერელთა უპირატესობით გაგრძელდა და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს. ზემოიმერლებს მონდომება 41-ე წუთზე დაუფასდათ. შეტევაში ჩართულმა რეხვიაშვილი 3 მეტოქეს იოლად გასცდა და საჯარიმოში შევარდნილ გაბედავას ზუსტი პასი გაუკეთა, რომელმაც შეუჩერებლად გადაგზავნა ბურთი კარში – 1:1.

მეორე ტაიმი ორმხრივი იერიშებით გაგრძელდა. თამაშის განახლებისთანავე ყოფილი თანაგუნდელების კარს დათუნაიშვილი დაემუქრა, მაგრამ სანდოხაძემ ვარდნაში მოახერხა თავისიანები უსიამოვნებას აერიდებინა. იქვე საპასუხო შეტევაში ფანცულაია ცდილობდა გატანას, მაგრამ უშედეგოდ.

69-ე წუთზე მასპინძლები აშკარა გოლს გადაურჩნენ – დათუნაიშვილმა მარცხენა ფლანგიდან და საჯარიმოში შეჭრით ტატანაშვილს გამიზნული პასი გაუკეთა. საჩხერელთა ფორვარდის თავური დარტყმა ოდნავ ასცდა ქვილითაიას დასაცავ ობიექტს, თუმცა ტატანაშვილმა თავისი შეცდომა სამ წუთში გამოასწორა. ლომაშვილის მაღლივ ჩაწოდებულს მან თავით მიმართულება შეუცვალა – 1:2.

გაშვებული გოლის შემდეგ რიონისპირელები აირივნენ და თითქმის მაშინვე კინაღამ დაისაჯნენ. ქუთათურები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის გაკეთებისას შეცდნენ, რითაც ტატანაშვილმა ისარგებლა და ქვილითაიასთან პირისპირ გავიდა, თუმცა ამჯერად ტორპედოელთა კაპიტანს ველარ აჯობა.

ბოლოსკენ მასპინძლები მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდნენ. მატჩის კულმინაციური მომენტი 82-ე წუთზე დადგა. შეცვლაზე შესულმა მზევაშვილმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და ბურთიანად საჯარიმოში შეიჭრა, სადაც რეხვიაშვილთან ჭიდილში დაეცა – ტორპედოელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა ჯენერი ხორავამ სხვაგვარად განსაჯა და მზევაშვილი სიმულაციისთვის გააფრთხილა, რითაც მასპინძელთა კლუბის ხელმძღვანელობის გულისწყრომა და მატჩზე დამსწრე გულშემატკივრების განრისხება გამოიწვია.

მართალია, რიონისპირელებს თავი არც ამის შემდეგ დაუზოგავთ და ქულის გადარჩენას ბოლომდე ცდილობდნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტის შექმნა ველარ მოახერხეს. არბიტრის საფინალო სასტვენს თან მორიგი ვნებათაღელვა მოჰყვა. ტორპედოელები ხორავას შემოეხვივნენ და აღნიშნულ ეპიზოდზე კამათი დაუწყეს. სხვებზე მეტად კუხიანიძე აქტიურობდა, რომელსაც არბიტრმა წითელი ბარათი აუფრიალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 11 | 8 | 2 | 1 | 27-9 | 26 |
| 2.ჩიხურა | 11 | 7 | 1 | 3 | 25-19 | 22 |
| 3.ტორპედო | 11 | 5 | 4 | 2 | 16-9 | 19 |
| 4.დილა | 11 | 5 | 3 | 3 | 16-11 | 18 |
| 5.მეტალურგი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-15 | 18 |
| 6.გურია | 11 | 6 | 0 | 5 | 11-14 | 18 |
| 7.ზესტაფონი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-8 | 15 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 11 | 3 | 3 | 5 | 15-17 | 12 |
| 9.მერანი | 11 | 4 | 0 | 7 | 12-25 | 12 |
| 10.სიონი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-15 | 10 |
| 11.სპარტაკი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-16 | 7 |
| 12.ზუგდიდი | 11 | 1 | 4 | 6 | 5-16 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი მოდებაძე (დილა) – 9 ბურთი; დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 8; დორინ გოგა (დინამო) – 6; თორნიკე კაპანაძე (ტორპედო) – 5.

# შედეგები

**ფეხბურთი**

ესპანეთი. პრიმეა დივიზიონი

ელჩე-ვილიარეალი ........................ 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 34-7 | 34 |
| 2.ატლეტიკო | 12 | 11 | 0 | 1 | 30-8 | 33 |
| 3.რეალი | 12 | 9 | 1 | 2 | 30-16 | 28 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-12 | 23 |
| 5.ბილბაო | 12 | 6 | 2 | 4 | 18-17 | 20 |
| 6.ხეტაფე | 12 | 6 | 1 | 5 | 16-13 | 19 |
| 7.სოსიედადი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-12 | 17 |
| 8.ლევანტე | 12 | 4 | 5 | 3 | 12-15 | 17 |
| 9.ვალენსია | 12 | 5 | 1 | 6 | 15-19 | 16 |
| 10.ესპანიოლი | 12 | 4 | 3 | 5 | 12-15 | 15 |
| 11.გრანადა | 12 | 4 | 2 | 6 | 8-12 | 14 |
| 12.მალაგა | 12 | 3 | 4 | 5 | 14-16 | 13 |
| 13.ელჩე | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| 14.სევილია | 12 | 3 | 4 | 5 | 20-25 | 13 |
| 15.სელტა | 12 | 3 | 3 | 6 | 14-16 | 12 |
| 16.ვალიადოლიდი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-18 | 11 |
| 17.ოსასუნა | 12 | 3 | 1 | 8 | 10-21 | 10 |
| 18.ბეტისი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-20 | 9 |
| 19.ალმერია | 12 | 2 | 3 | 7 | 14-24 | 9 |
| 20.რაიო | 12 | 3 | 0 | 9 | 10-30 | 9 |

იტალია. სერია ა

ბოლონია-კიევო ............................ 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 11 | 10 | 1 | 0 | 25-2 | 31 |
| 2.ნაპოლი | 11 | 9 | 1 | 1 | 24-8 | 28 |
| 3.იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 23-10 | 28 |
| 4.ინტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 27-12 | 22 |
| 5.ვერონა | 11 | 7 | 1 | 3 | 22-17 | 22 |
| 6.ფიორენტინა | 11 | 6 | 3 | 2 | 22-13 | 21 |
| 7.ლაციო | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 8.ჯენოა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-14 | 14 |
| 9.ატალანტა | 11 | 4 | 1 | 6 | 12-14 | 13 |
| 10.უდინეზე | 11 | 4 | 1 | 6 | 11-14 | 13 |
| 11.მილანი | 11 | 3 | 3 | 5 | 17-19 | 12 |
| 12.ტორინო | 11 | 2 | 6 | 3 | 17-19 | 12 |
| 13.პარმა | 11 | 3 | 3 | 5 | 16-19 | 12 |
| 14.ლივორნო | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 12 |
| 15.კალიარი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-19 | 10 |
| 16.ბოლონია | 11 | 2 | 4 | 5 | 13-22 | 10 |
| 17.სამპდორია | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| 18.სასუოლო | 11 | 2 | 3 | 6 | 12-27 | 9 |
| 19.კატანია | 11 | 1 | 3 | 7 | 7-19 | 6 |
| 20.კიევო | 11 | 1 | 2 | 8 | 7-18 | 5 |

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ბრესტი-ტრუა ................................ 1:1

რუსეთი. პრემიერლიგა

ტერეკი-კრილია ............................ 0:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-პარტიკი ........................ 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ქაისერი ........................ 2:2

გაზიანთეპი-სივასი ........................ 0:4

გენჩლერი-ესკიშეჰირი .................. 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-პანაითოლიკოსი ..... 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-იაგელონია ........................ 2:1

პოსბესკიეიე-ვისლა ........................ 0:0

დანია. სუპერლიგა

ვესტშელანი-ბრონდბიუ ................ 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**კალათბურთი**

ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-მინესოტა ............... 93:92

ფილადელფია-გოლდენ სტეიტი ... 90:110

მემფისი-ბოსტონი ...................... 95:88

კლიპერსი-ჰიუსტონი ............. 137:118

**ჩოგბურთი**

ატპ. შემაჯამებელი ტურნირი

დელ პოტრო-გასკე ............. 6:7;6:3;7:5

ბერდიხი-ვავრინკა ............. 3:6;7:6;3:6

**ჰოკეი**

ნჰლ. რეგულარული სეზონი

რეინჯერსი-ანაჰაიმი ...................... 1:2

ვინიპეგი-დეტროიტი ...................... 4:2

# თბილისის აზერბაიჯანული თეატრი ბაქოში მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი

თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრი ბაქოში გასტროლებზე იმყოფებოდა, სადაც ახალგაზრდა რეჟისორის თურგაი ველიზადეს სპექტაკლი „სიყვარულის წრე“ წარმოადგინა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი თურგაი ველიზადეა, დამდგმელი მხატვარი დიმიტრი სპორიშევი, სპექტაკლის კონსულტანტი გოჩა კაპანაძე, სპექტაკლში მონაწილეობენ თურგაი ველიზადე, მარიანა მამედოვა, ასლან მამედოვი. წარმოდგენა უსინათლო ქალისა და მამაკაცის სიყვარულზეა.

47-წლიანი პაუზის შემდეგ თბილისში კვლავ ამოქმედდა აზერბაიჯანული თეატრი, რომლის მმართველი და სამხატრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძეა. როგორ ჩაიარა თბილისური თეატრის აზერბაიჯანულმა გასტროლებმა, ამ თემაზე „ახალ თაობას“ სპექტაკლის რეჟისორი ესაუბრა.

**თურგაი ველიზადე:**

– მარჯანიშვილის თეატრში ვითამაშეთ ჩემი სპექტაკლის პრემიერა, ამჟამად კი ბაქოში ვიმყოფებოდით. გასულ კვირას ვიყავით აზერბაიჯანში ექსპერიმენტული სპექტაკლების ფესტივალზე სახელწოდებით „ორს პლუს ერთი“. ჩვენ ჩავიტანეთ ჩემი სპექტაკლი, რომელიც იფთიხარ პარიევის მიხედვით დავდგი და მას „სიყვარულის წრე“ ჰქვია. ჩვენ ამ ფესტივალზე მიწვეული ვიყავით, როგორც საპატიო სტუმრები, რადგანაც ეს არ იყო საერთაშორისო ფესტივალი. ისიც აღსანიშნავია, რომ წელს ჩვენი თეატრი 140 წლის გახდა და იუბილარია. 1947 წელს დაიხურა ეს თეატრი და 2004-ში ისევ აღდგა. 67- წლიანი პაუზის შემდეგ ეს იყო ჩვენი თეატრის პირველი ჩასვლა ბაქოში. ეს ნამდვილად ისტორიული ფაქტია. ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, კარგად ჩატარდა ფესტივალი, ჩვენი სპექტაკლი მოეწონა არა მარტო მაყურებელს, არამედ ჟიურის, თეატრალურ ელიტას, ყველას მოეწონა სპექტაკლის ხარისხი, დიპლომებით დაგვაჯილდოვეს, ამავე ფესტივალის ქანდაკებებიც გადმოგვცეს და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩვენი თეატრისთვის ეს ერთგვარი დებიუტიც იყო, თან აზერბაიჯანში თბილისის აზერბაიჯანული თეატრის ჩასვლა ამდენი წლის შემდეგ ნამდვილად არ იყოს ცუდი. მართალია, თბილისში აზერბაიჯანული თეატრი 2004 წელს გაიხსნა, მაგრამ აქამდე, სამწუხაროდ, არ ვიყავით ბაქოში ნამყოფი. მიხარია, რომ დაიწყო ასეთი ღონისძიებები, კარგად დაიწყო და, იმედი მაქვს, მომავალში კიდევ უფრო კარგი გაგრძელება ექნება.

***– ფესტივალი როდის ჩატარდა?***

– ფესტივალი 28 ოქტომბერს გაიხსნა და პირველ ნოემბერს დაიხურა. ჩვენ გვქონდა ფესტივალის დახურვის საპატიო მისია. მოგეხსენებათ, ფესტივალის დახურვა ან გახსნა საკმაოდ პრესტიჟულია ნებისმიერი თეატრალური დასისთვის. იმავე დღეს გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა და საკმაოდ სასიამოვნო პროცესი იყო.

***– როგორ მიიღო მაყურებელმა თქვენი სპექტაკლი?***

– ძალიან კარგად. ჩვენი სპექტაკლის განხილვაც შედგა, მათ შორის ჟიურის წევრების მიერ. ეს ყველაფერი არასაკონკურსო ფორმატში მოხდა. ძალიან თბილი სიტყვები გვითხრა ყველამ, მათ შორის თეატრის მოღვაწეთა კავშირმა, თეატრალური ელიტის წარმომადგენლებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა. თვითონ ეს პიესაც თანამედროვეა, თვითონ ავტორიც იმყოფებოდა ამ სპექტაკლის თამაშის დროს ბაქოში. ის პრემიერის დროსაც ესწრებოდა სპექტაკლს და ძალიან მოეწონა ჩვენი დადგმა. საერთოდ, იშვიათია, როცა ავტორებს მოსწონთ თავიანთი პიესები სცენაზე გადატანის შემდეგ. ეს იყო ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, როცა მოეწონა ავტორს და არაფერი უსაყვედურია. ფესტივალის დროსაც აღნიშნავდა, რომ ძალიან კარგი სანახავი იყო. სიმბოლურია ისიც, რომ ამდენი წლის შემდეგ სწორედ მისი პიესით წარდგა თბილისის აზერბაიჯანული თეატრი აზერბაიჯანში.

***– მიიღეთ მიწვევები?***

– კი, ბევრი საინტერესო წინადადება იყო. გვითხრეს, რომ მიდის მოლაპარაკებები და უახლოეს მომავალში იქნება გასტროლები. სხვა ქვეყნებშიც ვაპირებთ წასვლას, არა მარტო ამ პიესით, არამედ სხვა პიესებითაც. მთავარია, გეგმა იყოს, რაღაცას აკეთებდე, იდეა გქონდეს და ყველაფერი გამოვა.

ეს ჩემი სადებიუტო სპექტაკლი არ არის, ეს არის ჩემი რიგით მეხუთე სპექტაკლი. ნოდარ დუმბაძის „დიდრო“ მაქვს დადგმული, ჩეხოვის „ხელის თხოვნა“ და „დათვი“ მაქვს დადგმული, აზერბაიჯანელი კლასიკოსის უზეირ ჰაჯიბეკოვის ნაწარმოები „ცოლი და ქმარი“ მაქვს დადგმული. ასევე ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ მაქვს გაკეთებული, ოღონდ რადიოში, ეს იყო რადიოსპექტაკლი და ვიმუშავე ზურაბ კანდელაკთან ერთად. ჩვენი რადიოსპექტაკლი ორენოვანია – ქართული და აზერბაიჯანული და ის დისკზეც არის ჩაწერილი.

***– თქვენს ერთ-ერთ ბოლო სპექტაკლში თან თამაშობთ, თან რეჟისორი ხართ. ყოველთვის ასეა?***

– კი, ყველა ჩემს სპექტაკლში რეჟისორიც მე ვარ და თან ვთამაშობ ხოლმე. ეს იმის გამოა, რომ პროფესიით მსახიობი ვარ. ჩემი კარიერა დაიწყო მსახიობობით. დავამთავრე სამსახიობო ფაკულტეტი და ვმუშაობდი მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ვერ ველევი



მსახიობობას, რეჟისურაც მაინტერესებს და მგონია, რომ რაღაც გამოდის. ყველაზე ორმაგად სანერვიულოა, როცა თან თამაშობ და თან სპექტაკლის რეჟისორი ხარ. როცა მხოლოდ რეჟისორი ხარ, შორიდან უყურებ სპექტაკლს, მსახიობებს და რაღაცებს აკონტროლებ, მაგრამ, როცა შენივე სპექტაკლში თამაშობ, ძალიან რთულია, ვერაფერს ხედავ. ეს ხომ კინო არ არის, რომ კადრი გააჩერო და თავიდან ითამაშო. როცა დუმბაძეს ვდგამდი, ცოტა ძნელი პიესა იყო, ორკაციანი პიესა გავაკეთეთ მე და ჩემმა მეგობარმა თეატრში. საათზე მეტ ხანს სცენაზე ვიდექით ორივე. ეს სპექტაკლი დღემდე ერთ-ერთი კარგი წარმოდგენაა.

***– მხოლოდ აზერბაიჯანულ თეატრში მუშაობთ?***

– თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ვისწავლე და თეატრისა და კინოს მსახიობი ვარ. მსახიობობა დავიწყე მოზარდ მაყურებელთა თეატრში. როცა აზერბაიჯანული თეატრი გაიხსნა, ორივე თეატრში ვიყავი. იყო დრო, სამ ენაზე ვთამაშობდი სპექტაკლებს – რუსულად, ქართულად და აზერბაიჯანულად. ქართული თეატრიდან დაიწყო ჩემი სამსახიობო კარიერა, მერე გადავედი აზერბაიჯანულ თეატრში და მთლიანად ამ თეატრში ვარ. როცა უკვე რეჟისორობა დავიწყე, მთლიანად ამ საქმეში ჩავერთე. მოზარდში გია კიტიას დროს ვიყავი. მაშინ იქაც რემონტი იყო, არც გათბობა იყო, ძალიან რთული პირობები გვქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, 6 წელი მაინც ვიყავი მოზარდში და ძალიან კარგად მახსენდება. ბევრი მეგობარი მყავს ამ თეატრში, ჩემი სამსახიობო კარიერა იქ დაიწყო და ტკბილი მოგონებები მაკავშირებს.

***– თუმცა არც აზერბაიჯანულ თეატრშია სახარბიელო მდგომარეობა.***

– დიახ, აზერბაიჯანულ თეატრში არ არის კარგი პირობები, ამიტომ ჩვენს სპექტაკლებს ყოველთვის სხვა თეატრებში ვთამაშობთ. ჩემი სპექტაკლი „სიყვარულის წრე“ წარმოდგენილი იყო მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე. ძალიან დიდი პატივია ჩემთვის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თამაში, მაგრამ ტექნიკურად ძალიან რთულია ეს ყველაფერი. იმავე დღეს არ გვაქვს ხოლმე საშუალება, რეპეტიციები გავიაროთ, მარჯანიშვილის თეატრის დარბაზი სულ დაკავებულია და გვიჭირს. რაღაცები იცვლება, პირდაპირ სპექტაკლს ვთამაშობთ, არადა, სპექტაკლის გადატანა არ არის ადვილი.

***– მაყურებელი გყავთ?***

– კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თეატრში ვერ ვთამაშობთ, მაყურებელი მაინც გვყავს და არა მარტო აზერბაიჯანელი, არამედ ქართველებიც. არა მარტო მეგობრები, რიგითი მაყურებლებიც მოდიან, აინტერესებთ ჩვენი სპექტაკლები. რაც შეეხება აზერბაიჯანელ მაყურებელს, თბილისში ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს და ისინი ჩვენს სპექტაკლებზე დადიან. უმეტესობას უყვარს თეატრი, მით უმეტეს, ამდენი წელი დახურული იყო თეატრი და რაც გაიხსნა, მეტი სურვილი აქვთ, რომ სპექტაკლები ნახონ. ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ ხშირად სპექტაკლების თამაშს, რადგან სცენა არ გვაქვს. იმედია, ეს პრობლემა მოგვარდება და კვირაში რამდენიმე დღე გვექნება სპექტაკლები, რომ მაყურებელი გავახაროთ ახალ-ახალი წარმოდგენებით. ვიცით, რომ მაყურებელი ელოდება ახალ სპექტაკლებს, სულ მეკითხებიან, როდის გექნებათ ახალი სპექტაკლიო. მჯერა, რომ სათანადო პირობები მალე გვექნება.

***– ჩეხოვს, დუმბაძეს, ვაჟა-ფშაველას ქართულად დგამთ თუ აზერბაიჯანულად?***

– აზერბაიჯანულად. ნოდარ დუმბაძის „დიდრო“ ჩემი ნათარგმნი იყო, დანარჩენი არის თარგმანები. როცა არ არის ნაწარმოები აზერბაიჯანულად ნათარგმნი, იძულებული ვართ, ჩვენვე გადავთარგმნოთ. ეს არ არის ადვილი, თარგმანი საკმაოდ რთულია, აზრიც არ უნდა დაკარგო, მწერლის სათქმელიც უნდა შეინარჩუნო. ტექსტის თარგმნა ძნელი პროცესია, დრამატურგის ჩადებული მიზანსცენა უნდა შენარჩუნდეს. მიხარია, რომ შემიძლია ეს გავაკეთო და მიყვარს ეს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ პირობები არ გვაქვს, ყველანაირად ვცდილობთ, არ გავჩერდეთ, პირადად მე სულ მინდა, დავდგა, ვითამაშო, ვიმუშაო, მინდა, რომ ჩვენს სპექტაკლებზე ხალხმა ინტენსიურად იაროს.

***– მომავალში რას დადგამთ?***

– არის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. უახლოეს პერიოდში დავიწყებ მუშაობას ახალ სპექტაკლზე. იმედი მაქვს, ახალი წლის დასაწყისში ვითამაშებთ პრემიერას.

***– თანამედროვე მწერლების ნაწარმოებების დადგმა გირჩევნიათ თუ კლასიკოსების?***

– ცოტა რთული სათქმელია. მთავარია, რეჟისორს რისი თქმა სურს ამა თუ იმ პიესით. როცა დრამატურგი წერს, მასაც აქვს თავისი სათქმელი, ამიტომ ესეც შენარჩუნებული უნდა იყოს. ჩემთვის, პირადად, არ აქვს მნიშვნელობა, კლასიკოსი იქნება თუ თანამედროვე, მთავარია, ჩემი სათქმელი ვიპოვო მათ ნაწერში. მთავარია, აზრი მიაწოდო მაყურებელს, რის თქმას აპირებ.

***– იგებს ხოლმე მაყურებელი თქვენს სათქმელს?***

– დიახ, უმეტეს შემთხვევაში იგებენ სათქმელს. ბოლო სპექტაკლი უსინათლო ადამიანებზეა და, როცა აზერბაიჯანში ჩავიტანეთ, დიდი ემოციები ჰქონდა და მივხვდით, რომ გაიგეს. სპექტაკლში ცოტა აბსტრაქციაცაა, მაგრამ მაინც მიხვდა მაყურებელი ჩვენს სათქმელს. ეს არ იყო არც ვოდევილი, არც კომედია, არც ტრაგედია. მაყურებელი იმის მოლოდინშია, რომ თუ საშუალება იქნებოდა, რეპერტუარში სულ ექნებოდათ და სიამოვნებით უყურებდნენ. თუკი მიგვიწვევენ კიდევ, ჩვენ მზად ვართ, კიდევ ჩავიდეთ და ვითამაშოთ, მით უმეტეს, ცოცხალი ავტორის დადგმა ცოტა რთულია. ჩვენი სპექტაკლის პიესის ავტორი მონაწილეობდა ამ ფესტივალში და თან დევნილი ერევნის თეატრის დირექტორია.

***– თბილისში ხომ არ ჩამოდიოდა რეპეტიციებზე?***

– არა, თბილისში ჩამოსვლასა და რეპეტიციებზე დასწრებას ვერ ახერხებდა, პირდაპირ პრემიერა ნახა აზერბაიჯანში. ძალიან ელოდებოდა თვითონ და მეც საკმაოდ ვინერვიულე, არ ვიცოდი, მოეწონებოდა თუ არა.

სიმბოლურია, რომ თბილისში არსებობს აზერბაიჯანული თეატრი, ჩვენ საქართველოს რეგიონებში ვიყავით, მათ შორის გარდაბანში, მარნეულში და იქაური ბავშვები თუ მოზრდილები დიდი მოწონებით სარგებლობდნენ. იქაც დიდი სურვილი აქვთ, რომ ხშირად ჩავიდეთ, მაგრამ ესეც ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ჩვენ არ ვფიქრობთ სიმდიდრეზე, ჩვენთვის მთავარია მუშაობა. ამ სფეროში რომ მოდიხარ, უკვე იცი, რომ ვერ გამდიდრდები. თუ გიყვარს თეატრი, გამოხვალ ქუჩაში და ითამაშებ, სულაც არ არის საჭირო სცენა, პარტერი და კულისები, თუმცა, რომ იყოს სპექტაკლი უფრო კარგი, სანახაობრივი, მაღალხარისხოვანი, საჭიროა კარგი თეატრი. ჩვენ ნელ-ნელა ნულიდან ვიწყებთ და, როცა ყველაფერი გაკეთდება, უფრო გატკბილდება და კარგად გაგვახსენდება ეს რთული პერიოდი.

# ბესიკ ლიპარტელიანი: „ყველაფერი სამართლიანად იქნება“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბავშვებს აღარ გვანდობენ, თუკი საკალათბურთო სამყაროში ასეთი დაულაგებელი სიტუაცია იქნება.

**გელა წულაძე, ასაკობრივი ნაკრებების კოორდინატორი, მწვრთნელი:**

– სატელევიზიო გადაცემაში, რომელშიც ვოვა ბოისა, კახა შენგელია და მიშა ახვლედიანი მონაწილეობდა, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი არის წესდება, კანონი, რომელსაც არღვევს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. ანუ რა ქნა მან ამით: მთელს საკალათბურთო საზოგადოებას თვალებში ნაცარი შეგვაყარა. ვფიქრობ, ის კლუბებიც არ გაცნობიან ამ დოკუმენტს, რომლებიც დღეს აქ არ მოვიდნენ. ახლა რა გამოვა, ისინი ამას ტელევიზიით მოისმენენ, მერე თავის განცხადებებს გააკეთებენ. ესე არ გამოვა. უნდა მოხდეს შეხვედრა და იქ ითქვას სიმართლე, რომელსაც ყველა თვალს გაუსწორებს. ახალ გამოდის ის, რომ ამ კლუბებს ვიღაცა ატყუებს და ამით სიტუაციას ძაბავს. ესეც თავისთავად ძალადობაა. იმას რომ ამბობენ, ძალადობა არ იყოო. ყველაზე როგორ იქნებოდა ერთნაირი ძალადობა - ზოგს ურჩიეს, ზოგს მიანიშნეს, ზოგს კი პირდაპირ დაემუქრნენ. ამას არკვევს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი, ამათმა კი გადაწყვიტეს, რომ ზეწოლა არ იყო და ხელს აწერინებენ ბოიკოტის წერილზე. თქვენ გაქვთ ფიბა-ს დოკუმენტი და აქვეყნებთ მას, ახლა მოვიდნენ ისინი და დაამტკიცონ, რომ ეს ტყუილია. მაგრამ ეს არ უნდათ, რადგან თავად აქვთ ძალიან ბევრი ტყუილი ნათქვამი. ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ნათლად გამოჩნდა.

**ბესიკ ლიპარტელიანი, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– თუ ჩვენ 12 წელი ვატყუებდით ფიბა-ს, ხოლო 2012 წლიდან დაიწყეს ამის გამო ჩვენი კრიტიკა საქართველოში, როგორ ფიქრობთ, ჩვენ არ დავინტერესდებოდით თუ რაშია საქმე, რას ვაკეთებთ არასწორად? ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, გადაგვედგა სწორი ნაბიჯები და საზოგადოებამდე მიგვეტანა სიმართლე. კვლავ შევეცდებით, დღევანდელი შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას. ჩვენ შევეცდებით, რომ კიდევ გავიმეოროთ შეხვედრა კლუბებთან და თუ ეს ერთობლივად არ მოხერხდება, გამგეობა ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე მივა თითოეულ მათგანთან, მაგრამ თუ მათ არ უნდათ სიმართლის გაგება, ეს სულ სხვა თემაა. სწორედ ამიტომ იყო დასახული მიზნად ეს შეხვედრები, რათა საკალათბურთო სამყაროს ყველა ფენისთვის მოგვესმინა. დაგეგმილი 8 შეხვედრიდან უკვე მე-5 ჩატარდა. აუცილებლად გავმართავთ შეხვედრას სპორტის სამინისტროსთან, რაოდენ კრიტიკულიც არ უნდა იყოს ის ჩვენ მიმართ და რაოდენ მხარესაც არ უნდა წარმოადგენდეს. დამაგვირგვინებელი იქნება შეხვედრა ოლიმპიურ კომიტეტთან, რომელსაც ფიბა-ც აღიარებს და რომლის გარეშეც სპორტულ ცხოვრებაში არაფერი ხდება. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ მიიღებს ფედერაციის გამგეობა გადაწყვეტილებას, თუ როდის და როგორ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველაფერი იქნება კანონის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნება საკალათბურთო სამყაროს ყველა წარმომადგენლის აზრი და თითოეული კანდიდატი აბსოლუტურად თანაბარ პირობებში იქნება.

**თემურ დათიკაშვილი, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წევრი:**

– საკალათბურთო სამყარო ერთი ოჯახივით იყო ყოველთვის და გამოირჩეოდა მეგობრული ურთიერთობებით. ახლა ეს ოჯახი გახლეჩის პირასაა. 1995 წლიდან თქვენ გამოიარეთ ყველა ეტაპი, ნაკრების მწვრთნელობიდან დაწყებული, ფედერაციის პრეზიდენტობით დამთავრებული. შემთხვევით აქ არავინაა, ამიტომ თქვენი ვალია, ამ დაპირისპირების აღმოფხვრა და ოჯახის გაერთიანება. თუ ისინი არ მოდიან შეხვედრაზე, თქვენ უნდა მიხვიდეთ, აქ სათაკილო არაფერია. თუ ერთ მხარეს ეშლება, მეორე უნდა მივიდეს და მეგობრულად დაელაპარაკოს, გააგებინოს, რა არის სწორი და ესე აღმოფხვრას გაურკვევლობები. ამ შეხვედრებში კალათბურთის სამყაროს წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და მათ უნდა აირჩიონ პრეზიდენტი და არა ჩინოვნიკებმა, რომლებიც დღეს არიან პოსტზე, მაგრამ ხვალ აღარ იქნებიან და აღარც გაახსენდებათ კალათბურთი. ჩემი ინიციატივაა, მოეწყოს შეხვედრა, სადაც ორივე მხარე იქნება და საბოლოოდ გაირკვევა ყველაფერი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ხერესის მარკის ღვინის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 4. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. ზნეობა ანუ...; 15. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად**: 1. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. ლოტოს მსგავსი აზარტული თამაში; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ატმოსფერული ნალექი; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. ზღვისპირა კურორტი გაგრის მახლობლად; 18. განდიდების მანია; 19. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 20. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხევი; 2. „ელესა“; 3. ნაიკი; 5. ატელიე; 6. ფლემინგი; 9. იპოქონდრია; 10. ლაფონტენი; 11. კაკაფონია; 14. სკა; 16. ურნალი; 18. ზმნა.

**თარაზულად:** 1. ხერესი; 4. ღვარცოფი; 7. პერესი; 8. კობალტი; 12. კობზა; 13. მსხალი; 15. რონოდა; 17. ოდა; 19. ჟანდარმერია; 20. ვალსი; 21. ქაშერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „მუზა“; 2. სიდრი; 3. ამიგო; 4. წნორი; 5. წულაძე; 6. რეციდივი; 8. რეზერვაცია; 10. ნოქალაქევი; 11. სირაქლემა; 14. ხერესი; 15. ჰამამი; 16. კანიო.

**თარაზულად:** 1. „მარსალა“; 4. წიწამური; 7. ზონდი; 9. კორნი; 12. ფეტელი; 13. გზირი; 14. ხახული; 17. მარილი; 18. ალექსანდრია; 19. კარწახი; 20. ბონუსი.

# აშშ-ის სენატმა სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციის კანონპროექტის განხილვას მხარი დაუჭირა



თეთრი სახლის მიერ მხარდაჭერილმა კანონპროექტმა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ან სქესობრივი კუთვნილების გამო სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაცის შესახებ, სენატში რესპუბლიკელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მხარდაჭერა მოიპოვა.

კანონპროექტის განხილვის დაწყებას მხარი 61-მა სენატორმა დაუჭირა, წინააღმდეგი 30 სენატორი იყო.

სააგენტო „როიტერის" ინფორმაცით, კანონპროექტის სენატის მხარდაჭერას სავარაუდოდ მიმდინარე კვირის ბოლოს მიიღებს. თუმცა მიმდინარე ეტაპზე კანონპროექტს რესპუბლიკელების მიერ კონტროლირებად კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში არ გადააგზავნიან.

„ბი-ბი-სის" ინფორმაციით, წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი სპიკერი ამ კანონპროექტს, სავარუადოდ, მხარს არ უჭერს. ჯონ ბონერის თქმით, ეს სასამართლო პროცესებს გაზრდის და სამუშაო ადგილების შექმნას შეუშლის ხელს.

პრეზიდენტი ობამა კი ამ ზომებს აქტიურად უჭერს მხარს. „ჰაფინგტონ პოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბარაკ ობამამ აღნიშნა: „ამერიკელები სამსახურში აყვანისას მხოლოდ ერთი რამით უნდა განსაჯონ: მათი უნარით შეასრულონ დაკისრებული სამუშაო".

# პლანეტის ყველაზე დაბინძურებული ადგილების ათეულში რუსეთის ორი ქალაქი შევიდა

„ბი-ბი-სის" ინფორმაციით, შვეიცარიის მწვანე ჯვარმა და ამერიკულმა ბლექსმიტის ინსტიტუტმა მოხსენება წარმოადგინეს სახელწოდებით „2013 წლის მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებული ადგილები". მსოფლიოს ეკოლოგიურად ყველაზე დაბინძურებული ადგილების ათეულში რუსეთის ორი ქალაქი ნორილსკი და ძერჟინსკი შევიდა. ამ ქალაქების გარდა ათეულში უკრაინის ქალაქი ჩერნობილი და არგენტინის, ბანგლადეშის, განას, ზამბიის, ინდონეზიისა და ნიგერიის გეოგრაფიული რაიონებიც შევიდა.

ქალაქები ნორილსკი და ძერჟინსკი ბლექსმიტის ინსტიტუტის მიერ შედეგენილ სიაში ადრეც მოხვდნენ.

მოხსენების ავტორების დასკვნებს არ ეთანხმება ნიჟეგოროდის ეკოცენტრის „დრონტის" საბჭოს ხელმძღვანელი ასხატ კაიუმოვი: „ძერჟინსკი, ცხადია, სანატორიუმი არ არის და არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ამ ქალაქში ყველაფერი კარგად არის, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ძერჟნსკი მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებული ადგილების ათეულში არ უნდა შედიოდეს. მე რუსეთში ამ ქალაქზე მეტად დაბინძურებული ადგილები ვიცი, მაგალითად მონჩეგორსკი, მუსლიუმოვო...", – აღნიშნავს კაიუმოვი. ანგარიშის ავტორები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანს, რომელსაც ეკოლოგიური ტოქსინები იწვევენ, შეედრება ყველაზე საშიში ეპიდემიები, რაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში სიკვდილიანობის 20%-ს დაბინძურებული გარემო იწვევს.

კიბოს გამო ყოველი მეხუთე სიკვდილი, ტოქსინებთანაა დაკავშირებული.

ანგარიშის მონაცემებით, გარემოს დაბინძურება პლანეტაზე 200 მილიონი ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება.

„ეკოლოგიური ტოქსინების თავიდან მოშორება – რთული საქმეა, მაგრამ არა შეუძლებელი, – მიიჩნევს შვეიცარიული მწვანე ჯვრის ერთერთი განყოფილების მენეჯერი სტეფან რობინონი. – საჭიროა აუცილებელი ფონდების მობილიზება და იმ განზრახვის გამყარება, რომ ვიმოქმედოთ რაც შეიძლება სწრაფად".

იაპონური ატომური ელექტროსადგურის „ფუკუსიმას" რაიონი, სადაც მომხდარი ავარია ატომური მოვლენების საერთაშორისო შკალაში უდიდესია, პლანეტის ყველაზე დაბინძურებულ ადგილთა ათეულში არ მოხვდა.

# მოჰამედ მურსის სასამართლო პროცესი 8 იანვრამდე გადაიდო



ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის მოჰამედ მურსის სასამართლო სხდომა ეგვიპტეში 8 იანვრამდე გადაიდო. ინფორმაციას ამის შესახებ „ასოშიეიტედ პრესი" ავრცელებს.

გუშინ ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი მუჰამმედ მურსი გაძლიერებული დაცვით ქაიროში მდებარე პოლიციის აკადემიის შენობაში მიიყვანეს, სადაც მასზე სასამართლო პროცესი დაიწყო. მურსისთან ერთად მოძრაობა „ძმებ მუსულმანების" კიდევ 14 ხელმძღვანელს ასამართლებდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მურსი სასამართლოზე ვერტფრენით მოიყვანეს, დანარჩენი ბრალდებულები კი დაჯავშნული ავტომობილებით.

აღსანიშნავია, რომ მოჰამედ მურსიმ უარი განაცხადა ჩაეცვა ის ტანსაცმელი, რომელიც მათთვისაა განკუთვნილი, ვინც წინასწარ გამოძიებაში იმყოფება. ჟურნალისტების განცხადებით, მას მუქი ლურჯი ქურთუკი და ჩარვალი აცვია. ამის გამო მოსამართლემ სხდომა შეწყვიტა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სხდომა შეწყვეტილი იქნება მანამ ვიდრე „მურსი თავისი ახლანდელი სტატუსის შესაფერის ტანისამოსს არ ჩაიცვამს".

ამას გარდა, ასევე გავრცელებული ინფორმაციით, სხდომა ასევე შეწყდა იმის გამო, რომ დარბაზში მყოფმა მუსის მომხრეებმა ხმაური ატეხეს. ამავე დროს თავად მურსიმ ადგილიდან წამოიძახა – „მე ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი ვარ".

ასევე, როდესაც მოსამართლემ მას სახელი ჰკითხა, მურსიმ უპასუხა: „მე ვარ დოქტორი მოჰამედ მურსი, რესპუბლიკის პრეზიდენტი. მე ვარ ეგვიპტის ლეგიტიმური პრეზიდენტი! თქვენ არ გაქვთ პრეზიდენტის გასამართლების უფლება".

სასამართლო დარბაზში ვიდეო და ფოტო გადაღება აკრძალულია, თუმცა ჟურნალისტები მაინც დაუშვეს. სწორედ მათ გამოიტანეს სასამართლო დარბაზიდან ინფორმაცია, რომ მურსის სავარაუდოდ ჩვეულებრივ ციხეში გადაიყვანენ. აქამდე ექს-პრეზიდენტი სამხედროების ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ დაწესებულებაში ჰყავდათ დაკავებული. სასამართლოში იგი ვერტმფრენის საშუალებით მიიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ ექს-პრეზიდენტს და კიდევ რამდენიმე ბრალდებულს, გასული წლის დეკემბერში, პრეზიდენტის სასახლეთან მომხდარი დაპირისპირების დროს, დემონსტრანტების მკვლელობის „წახალისება" ედებათ ბრალად.

მურსის მხარდამჭერებმა უკვე გამოაცხადეს, რომ ქუჩაში გამოსვლას გეგმავენ. მურსი არმიამ ამა წლის ივლისში გადააყენა, რის შემდეგაც ქვეყანაში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ წყდება.

იურისტების განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ მურსის ბრალი დაუმტკიცდება, მას სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა ემუქრება.

# პატრიარქმა კირილმა პუტინი „დერჟავის" შექმნისათვის დააჯილდოვა



რუსეთის პატრიარქმა კირილმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ძლიერი ქვეყნის აშენებისთვის პრემიით დააჯილდოვა. კირილის თქმით, ქვეყანა „რომელიც თავის თავს პატივს სცემს და დანარჩენებიც პატივს სცემენ" არის „დერჟავა".

„დერჟავის" წინაშე პუტინის დამსახურების გარდა, პატრიარქმა კირილმა რუსეთის პრეზიდენტის, როგორც მშვიდობისმყოფელის როლსაც გაუსვა ხაზი. მშვიდობისმყოფელობის მაგალითად, პატრიარქმა სირიის საკითხისადმი კრემლის პოზიციაა დაასახელა.

თავად ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ამ პრემიის დიპლომს, რომელიც მას გადაეცა, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში შეინახავს.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალმა „ფორბსმა" რუსეთის პრეზიდენტი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა.

2012 წლის რეიტინგში პუტინის მესამე ადგილი ეკავა, მის წინ ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი იდგნენ. 2013 წლის რეიტინგში პუტინს ამერიკისა და ჩინეთის პრეზიდენტები მოჰყვებიან. ჟურნალის რუსული რედაქციის ხელმძღვანელმა ელიზავეტა ოსეტინსკაიამ „ბი-ბი-სისთან" ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ რეიტინგი ამერიკული რედაქციის მიერ არის შედგენილი.

# ისლამ კარიმოვი ცენტრალურ აზიაში ყველაზე ცბიერ პრეზიდენტად დაასახელეს



უზბეკეთის ხელისუფლების მეთაური ისლამ კარიმოვი ცენტრალურ აზიაში ყველაზე ცბიერ პრეზიდენტად დასახელდა. ასეთია სიეი-ნიუსის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა უმრავლესობის აზრი.

გამოკითხვაში 6 500-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა და ნახევარზე მეტმა „ცბიერ პრეზიდენტად" სწორედ კარიმოვი მიუთითა, შედარებით ნაკლებ ცბიერ ლიდერად ნურსულთან ნაზარბაევი მიიჩნიეს, მესამე ადგილი კი, ყირგიზეთის პრეზიდენტმა ალმაზბეკ ატამბაევმა დაიკავა.

რეგიონში ყველაზე გულწრფელ მეთაურად გამოკითხულებმა ავღანეთის ლიდერი ჰამიდ კარზაი დაასახელეს.

კარიმოვი უზბეკეთის პრეზიდენტის პოსტს 1991 წლის დეკემბრიდან იკავებს. გაერო-ს ადამიანური პოტენციალის განვითარების რეიტინგში, 2013 წელს უზბეკეთმა 186-დან 114-ე ადგილი დაიკავა (აღნიშნული მაჩვენებელი ცხოვრების, წიგნიერებისა და განათლების დონის და ქვეყნის მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით ითვლება) უზბეკეთის რამდენიმე მილიონი მოქალაქე სამუშაოდ საზღვარგარეთ არის წასული. ამ ფონზე უზბეკეთში პერიოდულად აქვეყნებენ კვლევის შედეგებს იმის თაობაზე, რომ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და სოციალური დაცვის კუთხით არსებული პირობებით, მიღწევებით და ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობებით. 2013 წელი ქვეყანაში „კეთილდღეობისა და აყვავების" წლად გამოაცხადეს. ისლამ ქარიმოვი, უზბეკეთის პრეზიდენტად ბოლოს მორიგი 7-წლიანი ვადით აირჩიეს. ქარიმოვმა პრეზიდენტობის მესამე ვადა ხმების 88 პროცენტის მიღებით გაინაღდა. ეს მაშინ, როცა უზბეკეთის კონსტიტუციით, დაუშვებელია პრეზიდენტობა ორზე მეტი ვადით. ეუთომ არჩევნები დაგმო, როგორც არადემოკრატიული.

# ჰომსში მომხდარმა აფეთქებამ 6 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

სირიის პროვინცია ჰომსში გუშინ მომხდარ აფეთქებას ექვსი ადამიანი ემსხვერპლა. გარდაცვლილთაგან სამი ბავშვია. დაჭრილია 40 ადამიანი. სააგენტო „სანას" ინფორმაციით, დანაღმული ავტომობილის აფეთქების შედეგად აფეთქების სიმძლავრე იმდენად დიდი იყო, რომ მან ახლომდებარე სახლებიც კი დააზიანა.

„როიტერის" ცნობით, კვირას სირიის ოპოზიციამ ჟენევის მოლაპარაკებებზე დასასწრებად საკუთარი პირობები დაასახელა. თუმცა, მანამდე სირიაში გაეროს საგანგებო წარმომადგენელმა ლაკდარ ბრაჰიმმა განაცხადა, რომ სირიას შესახებ კონფერენციაზე დასასწრებად რაიმე პირობების წამოყენება არ უნდა მოხდეს.

სირიის ეროვნული კოალიციის პრეზიდენტმა აჰმედ ჯარბამ განაცხადა, რომ ოპოზიცია არ დაესწრება თუ ნათლად არ გამოიკვეთება რა ბედი ელის მოქმედ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს. მისი თქმით, ასევე არ დასწრებიან თუ კონფერენციაზე ირანიც იქნება მიწვეული.

შეგახსენებთ, რომ კონფერენციის ორგანიზატორები ამერიკა და რუსეთი არიან. ამ დრომდე უცნობია კონფერენციის გამართვის ზუსტი თარიღი. ლაკდარ ბრაჰიმმა აღნიშნა, მას იმედი აქვს რომ კონფერენცია უახლოესი კვირების განმავლობაში გაიმართება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

კლუბი „მერწყული" თანადგომას უცხადებს კლუბის დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, გია ნატრიაშვილს სიძის

**თომას კუნის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება ცეკავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის, ღვაწლმოსილი მუშაკის

**კიტა შავიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
6 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ვინეტუ - 3**" 17.00 დ/ფ თანამედროვე იარაღი" 18.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.05 "მეხსიერება" 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.30 დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: **ბარსელონა – მილანი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 01.40 მხ/ფ "**რისხვი 23**" (ჯ.კერი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**". 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35 ქრონიკა 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25, 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 ღამის შოუ 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია 00.00 მხ/ფ "**ოსტატი**" (ფ.ს. ჰოფმანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 სერ. "**ნათია და ნათია**". 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 სერ. "**ექიმი ჰაუსი**". 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ "**ქვევრი**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.50 მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" 8 სერ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - ანდრია ბოჩელი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**მონანიება**" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**ფილატელისტის სიკვდილი**" 02.10 ნიამორი

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6715 | ევრო — 2,2572 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6679 | 100 რუსული რუბლი — 5,1941 |

## ამინდის პროგნოზი 6 ნოემბრისთვის





# მალე!

## ქართული დეტექტივი

### ტომი 3

## იორამ ჩადუნელი

# საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.




რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

### უკვე გამოსულია

ტომი 1 .................... მგლის ბილიკი

ტომი 2 .................... შავი ვარდი


## ფიროსმანს საერთაშორისო კონფერენცია მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში ორდღიანი საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია გაიხსნა. „ფიროსმანი და ქართული კულტურა“ – ასე ეწოდება ღონისძიებას, სადაც წარმოდგენილია როგორც ფიროსმანისადმი მიძღვნილი, ისე თავისუფალი სექციის მოხსენებები. თავისუფალი სექციის პრეზენტაციები მოიცავს იმ კულტურულ გარემოს და მის მრავალმხრივ კვლევებს, სადაც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა ფიროსმანის ფენომენი.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, იუნესკოს ეგიდით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და საქართველოს კულტურის წამყვანი დაწესებულებების თანამონაწილეობით, 2012-2013 წლებში ახორციელებს პროგრამას, რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილის – ფიროსმანის მხატვრული ფენომენის ინტერდისციპლინურ კვლევას გულისხმობს და მხატვრის დაბადებიდან 150 წლისთავს ეძღვნება.

შარშან დეკემბერში ჩუბინაშვილის ცენტრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში უკვე გაიმართა მრგვალი მაგიდა და პუბლიკაციების გამოფენა „ფიროსმანის მხატვრული ფორმა – გენეზისი და რაობა“, რომელშიც 9 მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებიდან.

2014 წლის 1 აპრილისათვის ფიროსმანისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალების საფუძველზე გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული.

კონფერენცია დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. პროექტის პარტნიორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, რომელთა ორგანიზებით გაიმართება სხვადასხვა კულტურული და საზოგადოებრივი ღონისძიებები.

ფიროსმანის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული არქივისა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ორგანიზების დაიგეგმა ერთობლივი გამოფენის გახსნა იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში „ფიროსმანის თბილისი“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გადაღებული თბილისის ფოტოები და ტიპაჟები.

ფიროსმანის 150 წლისთავის იუბილეს ეხმიანება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიც, სადაც საგამოფენო დარბაზში ნაივმხატვრების საიუბილეო გამოფენა გაიხსნება. საგამოფენო სივრცეში გამოიფინება შვიდი თვითნასწავლი მხატვრის დავით ლაშქარაძის, ავთანდილ დათიაშვილის, ტატიანა პაპისაშვილის, ლია სიხარულიძის, თამარ ძიძიგურის, დალი ხაჭაპურიძისა და გიგლა მამფორიას ფიროსმანის თემაზე შექმნილი 80-მდე ფერწერული ტილო და ქანდაკება, ასევე სხვადასხვა კომპოზიცია. ფიროსმანის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა ფოლკლორის ცენტრში 13 ნოემბერს დაიხურება.

## ბილ გეითსი მსოფლიოში 12 ყველაზე გავლენიან ბიზნესმენთა სათავეშია



მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ბიზნესმენთა უმეტესობა ამერიკასა და აზიაში ცხოვრობს და ტექნოლოგიების სფეროდანაა. „ფორბსის“ ყველაზე გავლენიან ბიზნესმენებს შორის ვერც ერთი რუსი ბიზნესმენი ვერ მოხვდა.

მსოფლიოს 2013 წლის 12 ყველაზე გავლენიან მეწარმეთა რეიტინგის სათავეში არიან წამყვანი უმსხვილესი ტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლები – ბილ გეითსი (მაიკრსოფტი), ლარი პეიჯი და სერგეი ბრინი (გუგლი) და მარკ ცუკერბერგი (ფეისბუქი) .

მექსიკელი მაგნატის კარლოს სლიმას ორწლიანი ლიდერობის შემდეგ, ბილ გეითსმა, პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანის სტატუსი დაიბრუნა. მისი ქონება 72 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული. ინტერნეტ-გიგანტის გუგლის თანადამფუძნებლების პეიჯისა და ბრინის ქონება შესაბამისად – 24,9 და 24,4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო სოციალური ქსელის ფეისბუქის შემქმნელის მარკ ცუკერბერგის – 19 მილიარდ აშშ დოლარს.

„ფორბსის“ რეიტინგში შევიდა ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი, რომელიც 12 წელია ქალაქს მართავს. აღსანიშნავია, რომ მისი ქონება ცუკერბერგის ქონებას აღემატება და 31 მილიარდი აშშ დოლარია, თუმცა, როგორც რეიტინგიდან ჩანს, ეს არ არის გავლენიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი.

12 ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი: 1. ბილ გეითსი; 2. ლარი პეიჯი და სერგეი ბრინი; 3. მარკ ცუკერბერგი; 4. მაიკლ ბლუმბერგი(ნიუ იორკის ყოფილი მერი); 5. მასაიოში სანი; 6.ელონ მასკი; 7. ტერი გუ; 8. ლარი ელისონი; 9. რობინ ლი; 10. ალიკო დანგოტი; 11. რიდ ჰოფმანი; 12. მუჰამედ იბრაჰიმი.

გ. მ.


### ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი

6 ნოემბრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, საქმე სარფიანია. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, შემოთავაზება გელით. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამ კუთხით. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, საწადელს აისრულებთ. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. გისურვებთ ბედნიერ დღეს!


## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ხილის წვენებისგან მომზადებული გამაგრილებელი სასმელი; 2. ნისლი, ბურუსი; 3. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 6. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ვარდების ბაღი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად**: 1. შტატი აშშ-ში; 4. ფრანგული ვერტმფრენმზიდი სამხედრო გემების სერია; 7. კარის ან ფანჯრის საკიდი; 8. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 12. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 13. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 15. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 20. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 21. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი. *შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## ბესიკ ლიპარტელიანი: „ყველაფერი სამართლიანად იქნება“



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობა აგრძელებს შეხვედრებს საკალათბურთო საზოგადოებასთან. მორიგ შეხვედრაზე სუპერლიგის კლუბების ხელმძღვანელობა არ მივიდა, თუმცა 50-მდე შეკრებილ ადამიანს გამგეობის წევრები და საპრეზიდენტო კანდიდატები შეხვდნენ.

**კახა შენგელია, ვეტერანი კალათბურთელი:**

– სამწუხაროა, რომ წარმოიქმნა 2 მხარე. მინდა განვაცხადო, რომ მე იმ მხარეს ვდგავარ, საითაც სიმართლეა. გვაბრალებენ, რომ თითქოს ჩვენ ხელოვნურად გვინდა დელეგატთა ხმების გაზრდა. მე გავეცანი ფიბა-ს აღნიშნულ დოკუმენტს და იქ წერია, რომ კალათბურთელების ჩართულობა საარჩევნო პროცესში უნდა იყოს მაქსიმალური. მე კი პირიქით, იმ მხარეს დავადანაშაულებდი, რომ სწორედ მათ უნდათ რეალური სურათის არევა და საარჩევნო ხმის მქონე დელეგატთა რაოდენობის შემცირება. ეს ბადებს ეჭვს და აჩენს მრავალ კითხვას. თუნდაც ეს ბოლო ნაბიჯი რას ნიშნავს. 20-მა გუნდმა ესე ერთიანად როგორ მოილაპარაკა. ამას ვიღაცამ გაუკეთა ორგანიზება და მე ვთხოვ ყველას, ვისაც ეს ეხება, რომ მწვავე რეაქცია მოჰყვეს ამ ქმედებას. ჯერ მოსული არ არის კაცი და დადის, პარტიის სახელით ლაპარაკობს და შეხვედრებზე ხალხს ნიშნავს, ადგილებს ანაწილებს. სანდო წყაროებიდან გავიგე ეს ინფორმაცია, არ არის თბილისი პატარა. მისი თქმით, ის უალტერნატივოა. ამით ის შეურაცხყოფას გვაყენებს ყველას. ჩვენ, პრეზიდენტობის კანდიდატები, იმიტომ დავდივართ გამგეობის შეხვედრებზე, რომ პირველ რიგში პატივისცემას გამოვხატავთ თქვენს და იმ ხალხის მიმართ, რომლებთანაც მომავალში ვაპირებთ თანამშრომლობას. ჩემი შეხედულებით, მიხეილ ახვლედიანი არის კაცი, რომელიც პატივს არ სცემს წარსულს და ვერ აანალიზებს დღევანდელ ვითარებას. ასეთი კაცის ხელში კალათბურთის და განსაკუთრებით ბავშვთა კალათბურთის გადაცემა, მე მიმაჩნია დამღუპველად. თუ თვლის, რომ არასწორად იქცევიან ფედერაციაში, თუ მას რეალურად შესტკივა გული კალათბურთზე, ხომ შეიძლება მოვიდეს, დაელაპარაკოს გამგეობის წევრებს, ის კი არა, რომ ტელევიზიით და პრესით დაიწყოს უსაფუძვლო კრიტიკა.

**მიხეილ გაბრიჩიძე, ვეტერანი კალათბურთელი:**

– სპეციალურად ველოდებოდი თქვენს განცხადებას, მაინტერესებდა, ეგ დოკუმენტი ის იყო თუ არა, რომელიც მე მქონდა წაკითხული. გავეცანი ფიბა-ს აღნიშნულ რეკომენდაციებს ინგლისურად და მეგობარსაც ვთხოვე, ფრანგულად წაეკითხა, რადგან ეჭვი შემეპარა, ეს იყო ის, რასაც ზოგიერთები წესდებას ეძახიან, თუ მე სხვა რამ ვნახე. ახლა კი ვხედავ, რომ სწორედ ის დოკუმენტი წამიკითხავს. მაინტერესებს, რატომ არ კითხულობენ ამას სხვები და რატომ უჯერებენ ვიღაცას, რომელიც ცდილობს მათ შეცდომაში შეყვანას. ყველას ეზარება საჭირო დოკუმენტის მოძიება, გადაშლა, წაკითხვა და უჯერებს სხვას. ეს ყველაფერი ძალიან ცუდია, ეს ხლიჩავს საკალათბურთო სამყაროს და დაპირისპირებამდე მიჰყავს. ასეთმა დაპირისპირებამ ის მოგვიტანა 80-იანი წლების შუაში, რომ „დინამოში" ქართველი კალათბურთელი არ დარჩა. ახლაც თუ მოხდა დაპირისპირება, ეს კალათბურთზე ხალხს გულს აუცრუებს. ჩვენს სკოლაში (ჰიუნდაი) 270 ბავშვი დადის კალათბურთზე და რა ვუთხრათ მათ მშობლებს. ისინი ხომ საკუთარ

გაგრძელება მე-10 გვერდზე